645
1986 1/11

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0321—1509

# საქართველოს ქალი

11
1986

ეროვნული ბიბლიოთეკა



საშვიდნოემბრო ზეიმი. ვ. გენგიურის ფოტო.

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69-ე წლისთავი

18537

# ოქტომბერი, ლენინი, მშვიდობა

დევი სტურუა

სამოცდაცხრა წელი გავიდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან. კიდევ ერთი წელიწადი და საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა იზეიმებს დიდი ოქტომბრის სამოცდაათ წლისთავს.

სამოცდაათი წელი ერთი ადამიანის ცხოვრებაში სიჭარმაგისა და ხანდაზმულობის ხანაა, როცა, გულიც რომ გერჩოდეს, მაინც უნებლიედ აჯამებ განვლილ გზას. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილებისთვის კი დროის იგივე მონაკვეთი ყრმობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასტარტო პერიოდია. მაგრამ რა დიდებული, შინაარსიანი და განუმეორებელია თავისუფალ მილიონთა ეს გასაოცარი ექსპერიმენტი!

ლენინის მიერ შექმნილმა და გამობრძმედილმა რუსეთის მუშათა კლასმა, რომელსაც გაჰყვნენ გლეხობა და იმპერიის ყოფილი განაპირა მხარეების მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო კაპიტალისტურ-მემამულური წყობილება, გააფთრებულ ბრძოლაში დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარი, ააშენა მსოფლიოში პირველი სოციალისტური საზოგადოება, გაანადგურა მსოფლიო იმპერიალიზმის ავანგარდული ძალები — ფაშისტური გერმანია და მილიტარისტული იაპონია, უმოკლეს ვადაში მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები და დღეს ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის ყოველმხრივი განვითარებისა და სრულყოფის პერიოდშია.

დიად თარიღს სასახელოდ ეგებება ჩვენი რესპუბლიკაც. გავიხსენოთ მონაცემები: საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში კაპიტალურმა დაბანდებებმა 45 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ამ პერიოდში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 260-ჯერ. 1913 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 215-ჯერ გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის საერთო მოცულობა — 11-ჯერ.

სამოცდახუთი წლის მანძილზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 68 მილიონი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართი.

საქართველოში ყოველ 1000 სულ მოსახლიდან 750 ადამიანს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება.

ამჟამად რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მითითებათა და რჩევათა განხორციელებისათვის.

ახლა მთავარია გარდაქმნა მოწოდებიდან საქმედ იქცეს, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა პატიოსნად, შემოქმედებითად თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმით იმუშაოს, ბოლო მოეღოს უყაირათობას, უპასუხისმგებლობას, მოჩვენებითობას, გათანაბრებას.

გარდაქმნა მარტო ეკონომიკის სფეროს როდი ეხება. შემდგომი ზნეობრივი სრულყოფის ამოცანა დღესდღეობით აქტუალურია, სავსებით უნდა აღიკვეთოს ისეთი მახინჯი და სოციალიზმის ზნეობრიობასთან შეუთავსებელი მოვლენები, როგორიცაა სოციალისტური ქონების დატაცება, მექრთამეობა, კარიერიზმი, ბიუროკრატიზმი, მაამებლობა, ნათლიმამობა და სხვა ულირსი ქმედება. როგორც პარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა სახალხო მეურნეობასა და სულიერ სფეროში შეუძლებელია ჩვენი პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო, სიღრმისეული დემოკრატიზაციის გარეშე, ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის საჯაროობის გარეშე. დემოკრატიზმი, საჯაროობა ცხოვრების ნორმად უნდა იქცეს, სხვამხრივ იმ ხარვეზებს, რამაც საკმაოდ მდგრადი ხასიათი მიიღო, ვერ გამოვასწორებთ. თავისთავად ცხადია, რომ სოციალისტურ დემოკრატიზმს არაფერი აქვს საერთო წვრილბურჟუაზიულ ანარქიზმთან, განუკითხაობასთან, მსოფლმხედველურ დამთმობლობასთან. საბჭოური დემოკრატიზმი ითვალისწინებს მაღალ პოლიტიკურ კულტურას, კომუნისტურ შეგნებულობას,

პარტიულ პრინციპულობას, რკინისებურ დისციპლინას, იდეურ სიწმინდესა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან შეურიგებლობას. ვისაც ჰგონია, რომ დემოკრატია, ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც რაც მომეპრიანება, იმას ვიტყვი და იმას გავაკეთებო, თუნდაც საზოგადოების საზიანოდ, მას სოციალისტური დემოკრატიის კლასობრივ, პარტიულ არსზე წარმოდგენაც კი არა აქვს.

დიდი ლენინი ყოველთვის უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ეგრეთწოდებული „წმინდა“, „ზეკლასობრივი“, „საერთო“ დემოკრატია არ არსებობს, არის სოციალისტური დემოკრატია და ბურჟუაზიული დემოკრატია, რომლებიც არა მარტო გამორიცხავენ, არამედ დიამეტრალურად უპირისპირდებიან ერთმანეთს. პიროვნების მეცადინეობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების, მშრომელი ადამიანის სასარგებლოდ, მხარდასაჭერი და წასახალისებელია ისევე, როგორც აღსაკვეთია ანტისაზოგადოებრივი ქმედება, და ეს აღკვეთა სრულებითაც არ არის დემოკრატიზმის პრინციპებიდან გადახვევა, პირიქით, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფერო, მათი მიღწევისთვის ჩატარებული მუშაობა და ბრძოლა მთლიანად თავსდება დემოკრატიზმის ცნებაში.

ოქტომბრის რევოლუციის სამოცდამეცხრე წლისთავს საბჭოთა ხალხი შეეგება ხალისით, ნათელი ოპტიმიზმით, რაც გამოწვეულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მეცადინეობით მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ბირთვული იარაღის გამოცდის მორატორიუმი, რომელიც ცალმხრივად განახორციელა საბჭოთა კავშირმა, სხვა სამშვიდობო ღონისძიებანი, რომლებიც გატარდა ცხოვრებაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების პოლიტიკის საპირისპიროდ, ცხადყოფენ, რომ სოციალიზმი საქმით და არა სიტყვით იბრძვის განიარაღებისათვის, იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოს ააცილოს ბირთვული კატასტროფა, იხსნას ცივილიზაცია ატომური ზამთრისა და სრული გადაშენებისაგან.

რეიკიავიკში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რონალდ რეიგანთან შეხვედრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა კვლავ წამოაყენა საბჭოთა მთავრობის ნათელი და არაორაზროვანი წინადადებანი, რომლებიც განიარაღებასა და საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვას ითვალისწინებს.

ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო იყო, არის და იქნება სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და შეჯიბრების ლენინური იდეის ერთგული.

სკკპ XXVII ყრილობამ სოციალისტური აღმშენებლობის გიგანტური გეგმა დასახა, მიიღო პარტიის პროგრამისა და წესდების ახალი რედაქცია, რომლის განხორციელება მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას მოითხოვს. ბირთვული იარაღის წარმოება უმძიმეს ტვირთად აწვება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას, მათ შორის ჩვენს სახალხო მეურნეობასაც. ამიტომ არის, როცა ჩვენი პარტია იბრძვის მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, ის იმავდროს იბრძვის ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

მშვიდობამ უნდა გაიმარჯვოს ომზე, მშვიდობისმოყვარულმა ძალებმა უნდა დათრგუნონ ომის გამჩაღებელთა კაცთმოძულე მცდელობანი, ვინაიდან კეთილი ნების ადამიანს სურს ქვეყნად სუფევდეს სიცოცხლე, შრომა, შემოქმედება, სიყვარული.



## ჩვენი თანამედროვე

# გვაქვს უთვალავი ფერითა...

— ეს ქსოვილი ვისი მოჩითულია?

— ნაზი გაბრიჭიძისა... აი ისიც!... გვიპასუხა საჩითავი საამქროს № 1 ბრიგადის ბრიგადირმა სპარტაკ აბრამიძემ.

— მოგწონთ?!... მრავალმნიშვნელოვნად დაუმატა ტექნოლოგმა გულიკო ბაჩუკაშვილმა.

თვალი ავადევნეთ მანქანაზე გადაჭიმულ მზა ქსოვილს, რომელმაც რთული და საინტერესო გზა განვლო. ათასის ხელში გამოვლილი ფერად-ფერადი სიფრიფანა ძაფების ხვეულები ერთი საამქროდან მეორეში ინაცვლებდა ადგილს. ბოლოს სრულყოფილი სახე მიიღო და ნაწარმი საჩითავ საამქროს გადაეცა. აქ ერთფეროვანი ქსოვილები ნაირფერი საღებავებითა და სხვადასხვა ნახატებით ირთვებოდა. ირგვლივ ფერთა სიუხვის ზეიმი იდგა.

დღეღამის განმავლობაში რვა ბრიგადის წევრები თავს დასტრიალებენ მანქანებს, არ შამორჩებიან ერთურთს. მჩითავები ჟუჟუნა ბათიაშვილი, თამარ რაზმაძე, ეთერ გურიტიშვილი, მარიამ მელიქიშვილი, დები თამარ და ნაზი ვეშაგურები, ქეთინო ცოკიაშვილი და სხვები ერთმანეთს ენაცვლებიან. აფერადებული ქსოვილი კი მაღლა-მაღლა მიიწევს, შემდეგ ქვემოთ ეშვება, იკეცება და ურიკებზე ეწყობა.

იქვე ახლოს ნაზი გაბრიჭიძე იდგა და ჩვენთან ერთად მოჩითულ ქსოვილს ათვალიერებდა. შემდეგ ქსოვილს ხელისგულით შეეხო, შემობრუნდა, მანქანამ არ ჩაიხვიოსო, გვითხრა და მოგუგუნე „რეჯიანს“ თვალი აადევნა. საამქროში მანქანები მონოტონურად გუგუნებდნენ, დაზგებზე გადაჭიმული ქსოვილების ზედაპირს მოხატულსურათებიანი შაბლონები დასთამაშებდა. შაბლონზე რაკლის საშუალებით საღებავი თანაბრად ნაწილდებოდა. ქსოვილზე სურათები იხატებოდა. ნაზიმ მანქანას უმარჯვა, წნევისა და ორთქლის რეგულირება მოახდინა. შემდეგ მარცხნივ შეუხვია და მოჩითულ ქსოვილს დააცქერდა.

სამუშაოს სწორი წარმართვისათვის უპირველესად საჭიროა თვალი და ხელი სწრაფად მუშაობდეს, მანქანა მუდამ წესრიგში იყოს, მთავარია, წუნი არ წარმოიშვას, უხარისხო საღებავით ქსოვილი არ გაჭუჭყიანდეს. ნაზიმ ამ სირთულეებს თავიდანვე აუღო ალღო. საჩითავ საამქროში ის 1972 წლიდან მუშაობს. დღეს დღე მიხდევდა. პირველ ნაბიჯებს ჯერ შეცდომები და შემდეგ წარმატებები მოჰყვა, წარმატებებს — გამარჯვებები. და ახლა ნ. გაბრიჭიძე მოწინავეთა რიგებშია, დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს, ყოველდღიურად 1700-2000 მეტრ ქსოვილს ჩითავს. იანვრიდან დღემდე მას გეგმის გადამეტებით 1.900 მეტრი ქსოვილი აქვს მოჩითული. სამუშაოს შესრულების საშუალო კოეფიციენტი 113,3 პროცენტით განისაზღვრება. ნაზის მაჩვენებლები ხომ ბრიგადის წარმატებების წილხვედრია. № 1 ბრიგადის წევრები ერთიანი ძალით ებრძვიან წუნს. ისინი თვეში 40 ათას მეტრ მოჩითულ ქსოვილს უშვებენ. თავმდაბალ, საქმის ერთგულ, სამი შვილის დედას — ნაზი გაბრიჭიძეს საწარმოში ყველა პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებს. ნაზის თქმით, მისი გამარჯვებები ამხანაგების გამოცდილების გაზიარებისა და მათი დახმარების შედეგია.



მჩითავი ნაზი გაბრიჭიძე



ბრიგადირი ს. აბრამიძე ყოველთვის მზადაა დახმარებისათვის

ჯ. ლომაძის ფოტოები

ჩხარტიშვილების ოჯახში იმ დღესაც დილაუთენია აკიაფდა სინათლე. სამზარეულოში ნაზი ფუსფუსებდა. დილის საუზმეს ამზადებდა. შემდეგ დედას 17 წლის ნინო წამოეშველა. ნინო გორკის სახელობის კლუბთან არსებულ ხალხურ საკრავთა სტუდიაში სწავლობს, უმცროსი — ნანა კი მეორე ექსპერიმენტული სკოლის მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლეა, თან მუსიკასაც ეუფლება, მუსიკის სიყვარული ტრადიციად დაებედათ ჩხარტიშვილებს. ოჯახის გუნდს ა. კავსაძის მომღერალთა გუნდის ყოფილი წევრი, ოჯახის თავკაცი ზირაგე ჩხარტიშვილი უძღვება. თუმც სიმღერებს მათი უფროსი ვაჟიშვილი კობა არჩევს ხოლმე. ის ამჟამად სამხედრო-სავალდებულო სამსახურშია პოლონეთში. ოჯახის წევრები მოუთმენლად ელიან, იციან, რომ მისი ჩამოსვლის შემდეგ რეპერტუარი უფრო გამდიდრდება.

ახმაურებულ თბილისის ქუჩებს ჩხარტიშვილების ოჯახიც შეუერთდა. ყველამ თავის გზას მიაშურა; ნაზიმ და მისმა მეუღლემ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კარიბჭე შეაღეს; ერთმა სანტექნიკის განყოფილებისაკენ გაუხვია, მეორემ — საჩითავი საამქროსაკენ.

სამუშაო დღე იწყებოდა. გაწმენდილ-გასუფთავებული მანქანები ნაცნობ, გამოცდილ ხელებს ელოდა, ხელებს, რომლებიც თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადასცემდა ქართული ნატურალური აბრეშუმის — შინდისფერის და ცორეცტის სინაზეს, სიმსუბუქესა და სილამაზეს.

ციხანა სიხარულიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზემო რაჭაში ბარიტის საწარმოა



ენერგეტიკოსი ლალი ჯაფარიძე
და მთავარი ინჟინერი თამაზ ზაკუტაშვილი

## ● ძნელი დღეებიც იყო...

მზე ისე იკბინება, უეჭველად გაავდრდება. მანქანები შეუჩერებლად მიდი-მოდიან და სოფლის შარაზე მტვერს აყენებენ. გაივლის ერთი, ავარდება ბდღვირი, ჩაცხრება ცოტა და ისევ გამოჩნდება მეორე. ესენი თბილისის სიცხეს გამოქცევიან რაჭის გრილოებში თავის შესაფარებლად. რამდენჯერ აუდევნებია პატარა გოგოს ავტობუსში მსხდომი მეზაერებისათვის თვალი და უნატრია სადმე შორს წასვლა. რომ წამოიზარდა, სურვილი გაუჩნდა დიდი ავტობუსით თბილისში წასულიყო და ექიმი გამხდარიყო.

რას იზამ, ოცნებებით [illegible]ოდოობთ და პრაქტიკულად კი სულ სხვა გამოდის!

ერთ მშვენიერ დღეს ლალი ჯაფარიძე სოფელს ენერგეტიკოსად დაუბრუნდა. იმ დღესვე დაიწყო მუშაობა ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოში. მახსოვს, ექსკურსიაზე წაგვიყვანეს ირის გამამდიდრებელი ფაბრიკის სანახავად. მეგზურობა ლალი ჯაფარიძემ იტვირთა. ახალი დამთავრებული ჰქონდა ინსტიტუტი. ამ კოპწია გოგოს „ტელოგრეიკა“ და დიდი რეზინის ჩექმები ეცვა. მოუხეშავ ტანსაცმელში ცოცხლად მოძრაობდა, ისეთი ენერგია იღვრებოდა მისგან, შეგშურდებოდათ. საინტერესოდ გვესაუბრა და ღრმად ჩაგვახედა ბარიტის დამუშავების საქმეში. ბევრმა ჩვენგანმა შევიცვალეთ კიდეც მომავლის გეგმა და ენერგეტიკოსობა გადავწყვიტეთ.

შემოდგომის ფოთლებივით ჩამოცვივდნენ კალენდრიდან დღეები კი არა, წლები. ლალიმ 12 წელი საწარმოში გაატარა. მისი უშუალო მონაწილეობით გადავიდა ფაბრიკა ავტომატური მართვის სისტემაზე.

— ძნელი დღეები გვქონდა, — იხსენებს ლალი, — ღამითაც კი ფაბრიკაში ვიყავი და ოჯახში ისე წუხდნენ, ჩემს უმცროს დას მიგზავნიდნენ ხოლმე, არ შეეშინდესო.

სულ ახლახანს კი ლალი ჯაფარიძემ ცხოვრების ახალი გზა აირჩია: პრაქტიკულად შეძენილი ღრმა ცოდნა, სურს მოსწავლეებს გაუზიაროს. ამიტომაც თბილისის ერთერთი პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგობა იკისრა.

ფაბრიკაში ლალიმ ბევრი რაციონალიზატორული წინადადება დანერგა, რის შედეგადაც საწარმომ გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტს მიაღწია.

## ● დღე დღევანდელი

გარეთ ჭრიალით იცლება ვაგონები. ეს ლესორიდან ჩამოსული ბარიტია, ფაბრიკაში გორებად რომ დგას. შემდეგ აქ გარკვეულ ზომაზე ამსხვრევენ, სამი კატეგორიის მიხედვით ახარისხებენ, ამდიდრებენ, რეცხავენ, აშრობენ და მომხმარებელთან გზავნიან.

აღსანიშნავია, რომ ფაბრიკა ხარისხისნიშნიან პროდუქციას უშვებს და საბჭოთა კავშირში წარმოებული ბარიტის 80 პროცენტს აქ ამზადებენ. ბევრი მომხმარებელი ჰყავს საწარმოს, მაგრამ ძირითადი მაინც ბერეზნიკი და ქუთაისის ლითოფონის ქარხანაა.

ფაბრიკა დღეს ორ ცვლად მუშაობს და თითქმის ყველა პროცესი ავტომატიზირებულია. ამჟამად მიმდინარეობს საწარმოს გადაიარაღება თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით, ეძებენ გზებსა და საშუალებებს ნარჩენებისაგან სხვადასხვა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური რეჟიმის დასადგენად. მოკლე დროში დადგამენ სპეციალურ აპარატს, რომლის საშუალებითაც მექანიკურად გაამდიდრებენ ღარიბ მადანს. 1990 წლისათვის მზად იქნება ბარიტის მიკრო-დაფქვის საამქრო.

ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი ნ. რეხვიაშვილი) ადმინისტრაცია, კომკავშირული, პროფკავშირული, პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მოეწყო მშრომელთა სასადილო, საბავშვო ბაღი, აშენდა ახალი საშუალო სკოლა, კურორტ შოვში ექსპლოატაციაში შევიდა 100 ადგილიანი დედათა და ბავშვთა დასასვენებელი სახლი, ყოველწლიურად გაჰყავთ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები შოვში დასასვენებლად, ტარდება მშრომელთა დასვენებისა და კულტურის ესტაფეტები გაერთიანების მონაწილეობით, გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად ერთმანეთს ხვდებიან სპეციალისტები, ეწყობა სპორტული შეხვედრები, ექსკურსიები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცვლის უფროსი ნანა ლობჟანიძე



ცვლის უფროსი ირინე ჯოხაძე

დ. იაკობაშვილის ფოტოები

გამამდიდრებელი ფაბრიკისა და სამთო საამქროს ცვლები და უბნები გადასულია ბრიგადული იჯარის მეთოდზე, რის გამოც საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომის ნაყოფიერება, საწარმოს ეკონომიკა, გაიზარდა მშრომელთა დაინტერესება, რამაც ხარისხობრივ მაჩვენებელზე იმოქმედა.

ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველო გაერთიანების საწარმოთა შორის ხშირად იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც აჯილდოვებენ გარდამავალი წითელი დროშით და ფულადი პრემიით.

## ● ძალა ერთობაშია

ერთხელ საბაგირო გზას, რითაც ბარიტს ეზიდებიან, ხანძარი გაუჩნდა. მთელი საწარმო ფეხზე დადგა, ერთ ბირთვად შეიკრა და გასამრჯელოს გარეშე დღე და ღამე გაასწორეს საბაგირო გზის აღსადგენად. ბარიტს მანქანებით ეზიდებოდნენ ლესორიდან. ფაბრიკაში ისე რიტმული აღარ იყო მუშაობა, მაგრამ გეგმა კი მაინც არ ჩავარდა.

ერთხელაც ყველა მანქანა-დანადგარი გაჩერდა. ბარიტს ელოდნენ. ფაბრიკა მუშებით გაივსო. საამქროს უფროსი თამაზ ზაკუტაშვილიც იქვე ტრიალებდა. ბაბილა განიძე, რომელიც 30 წელია საწარმოში მუშაობს, ადგილს ვერ პოულობდა.

— ბაბილა ფლოტატორია, — გაგვაცნო საამქროს უფროსმა. ბარიტის ფლოტაციურ გამდიდრებას ახდენს და გეგმებს 110 პროცენტით ასრულებს. კომუნისტი ბაბილა განიძე ფაბრიკის ბიუროს წევრია.

შორიდან ახალგაზრდა გოგონა დაგვანახეს. ისე მხიარულად კისკისებდა, რომ მისი განწყობილება ჩვენც გადმოგვედო, იგი ირინე ჯოხაძე აღმოჩნდა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საწარმოში დაიწყო მუშაობა და ყველას შეაყვარა თავი. ირინე ჯოხაძე ამ ხუთი წლის მანძილზე ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო. ახლა კი გამამდიდრებელი ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს. დაუსწრებლად დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ საწარმოს, თავის სადისპეტჩერო პულტს ვერ შეელია და ისევ იქაა, საწარმოში.

საბაგირო გზა კარგა ხანია ამუშავდა. მოდის ბარიტი ლესორიდან, შემდეგ ირში მუშავდება, აქედან კი მადნით დატვირთული მანქანები სწორ მწკრივად მიუყვება გზას. ვინ იცის, რამდენი პატარა გოგო-ბიჭის ოცნება მიჰყვება მათ ცხოვრების გზაზე გასასვლელად!

ციცო ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ციტრუსების ბაღები

ჭოროხის ხიდს რომ გასცდებით, სარფის გზაზე შორიდანვე შენიშნავთ რუხი ქვით ნაშენებ გალავანს. ეს გონიოს ციხეა. ციხის კოშკებმა და გალავანმა საუკუნეებს გაუძლეს და კვლავაც ამაყად დგანან. ის ხომ ოდესღაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ჭიშკარი იყო. ციხემ დაკარგა თავისი დანიშნულება, სამაგიეროდ, მის ეზოში ოთხ ჰექტარზე ციტრუსი და სხვა მარადმწვანე მცენარე გაშენდა. მას „მეგობრობის ბაღი“ დაარქვეს.

რამდენი გამვლელი მოხიბლულა აქაური თვალწარმტაცი ზღვისპირეთით.

სწორედ ეს ციხის მიდამოები, მახლობელი ჭალა, მთები და ფერდობები ეკუთვნის გონიოს საბჭოთა მეურნეობას. მეურნეობა დიდი არ არის, მაგრამ მთელს რესპუბლიკაში გამოირჩევა უხვმოსავლიანი ჰექტრებით. იმ მკაცრ ზამთრამდე, რომელმაც საქართველოს სუბტროპიკებს დიდი ზიანი მიაყენა, საშუალოდ ჰექტარზე 30 ტონა ნაყოფი მოჰყავდათ. ალბათ მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება ასეთი უხვმოსავლიანი ბაღები. ბაღებს ნაიარევი ჯერ მთლიანად არ მოშუშებია, მაგრამ რაც მთავარია, მას დედის მზრუნველი ხელი არ მოჰკლებია. დიახ, „დედის მზრუნველი“ ხელი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. საქმე ის არის, რომ მეურნეობაში მუშების 65 პროცენტი ქალია. მათ პლანტაციებშიც ნახავთ, ბაღ-ბოსტანსა და ფერმაშიც. ისინი ერთგული და მუყაითი შრომით გამოირჩევიან.

ის დღე მეურნეობაში განსაკუთრებით სასიხარულო იყო. საექსპლოატაციოდ გადაეცა ორსართულიანი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა. დიდებული სანახავია ინტერიერი, მზითა და მაცოცხლებელი ზღვაურით ავსებული დარბაზები და საძილე ოთახები, ფართო დერეფნები, რომელთა კედლებზეც გაცოცხლებული არიან „ნაცარქექიას“, „წითელქუდას“ და სხვა ზღაპრების გმირები. ბავშვებს დედებიც თან ახლდნენ. მშობლების შუქჩამდგარი თვალები მეტყველებდნენ: ბედნიერებაა, რომ ჩვენი შვილები ასეთ დიდებულ შენობაში აღიზრდებიანო.

მეურნეობას ურიგო საბავშვო ბაღი როდი ჰქონდა, მაგრამ სადღეისო დანიშნულებას ვეღარ უპასუხებდა. გონიოში ბოლო რვა წელიწადში შობადობა ოთხჯერ გაიზარდა. ბაღში წინათ ორი ჯგუფი იყო, ახლა ხუთ ჯგუფში 120 ბავშვია. შობადობის ზრდას სოციალური პრობლემების მოგვარებამაც შეუწყო ხელი. თითოეული მუშახელის გამომუშავება ყოველწლიურად საშუალოდ 4-5 ათას მანეთს აღწევს. ერთი ხუთწლედის მანძილზე 134 ბინიანი ოთხი საცხოვრებელი სახლი აშენდა. წლის ბოლომდე ახალმოსახლეობას კიდევ 54 ოჯახი იზეიმებს.

მეურნეობის დირექტორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს კ. ბერიძეს მისვლის მიზანი ვუთხარი და ვთხოვე მოწინავე ქალები გაეცნო.

— ორდენოსნებით დავიწყოთ თუ სახელმწიფო პრემიის ლაურეატებით? — შემპარავი ღიმილით მითხრა. მეციტრუსეობაში სახელმწიფო პრემიის ლაურეატები აჭარაში მხოლოდ გონიოს ჰყავს. ესენი არიან საქვეყნოდ სახელგანთქმული ლიდა ნოზაძე და მიმოზა ჩხენკელი, მაგრამ მათ როდი ჩამორჩება ათობით მოწინავე ქალი. ისინი ხომ პლანტაციებში სასწაულებს ახდენენ.

ზღვისპირას, თხუთმეტ ჰექტარზე ლიმონარიუმია გაშენებული. ათიოდე წლის წინათ იქ გაუვალი ჭაობი იყო. გამრჯე მარჯვენამ იქაურობას სახე უცვალა. ჭაობი არხებით დააშრეს, მიწა მოზიდეს, ალუმინის კარკასები გამართეს და თვალს არ ენახება, ისეთი ლიმონის ბაღი გააშენეს. რკინის ცხაურიანი ჭიშკარი გულნარა თეთრაძემ გაგვიღო. ვიხილეთ, როგორ უფრთხილდებიან პლანტაციას. გაზრდილ ხეებს უხვად ესხა ნაყოფი. ნიადაგი ისე იყო დამუშავებული, სარეველას ვერ შენიშნავდით. გულნარა შევაქეთ, მარტოდ რას გავხდებოდიო, — და ნარგიზ გოგიტიძე და ნაზიბროლა ბერიძე წარმოგვიდგინა.

— მეურნეობაში სტიმულირების თავისებური ფორმაა შემუშავებული. პლანტაციების მოვლით სამუშაოებზე შეფასების სამბალიანი სისტემაა შემოღებულიო, — აგვიხსნა გულნარამ, — ვინც სამჯერ დაიმსახურებს „ხუთიანს“, პრემია ასი პროცენტით ეძლევა, თუ „სამიანს“ მიიღებს, პრემია ჩვეულებრივ ეძლევა. ვისაც „ორიანზე“ შეუფასებენ ნაშრომს, პრემიას აღარ მისცემენ. პრემია სოლიდურია, ყველა ვცდილობთ მაღალი შეფასება დავიმსახუროთ. ამ პრინციპით ანაზღაურებისას ჩვენც ვიგებთ და მეურნეობაც, გულნარამ და მისმა მეგობრებმა უკვე ორჯერ მიიღეს შეფასება „ხუთი“. მესამედ მათ მოსავლის აღების შემდეგ შეამოწმებენ.

ოჯახური მდგომარეობა ვიკითხე, ძალზე ახალგაზრდები იყვნენ, ვიფიქრე, შეიძლება გათხოვილნი არც არიან მეთქი. შევცდი, ნარგიზს სამი შვილი ჰყოლია, ნაზიბროლას — ოთხი. შვილები უზრუნველად იზრდებიან საბავშვო ბაღში.

— ინდივიდუალურმა იჯარამ აჯობა ჯგუფურს, — ამიხსნა მეურნეობის დირექტორმა, — უქნარა სხვის ზურგს ვეღარ ამოეფარება. თითოეულის გარჯა თვალნათლივ მოჩანს. ეს სამეული სანერგეში მუშაობს. გარდა ამისა, ყოველი მათგანი ნახევარ ჰექტარ ციტრუსის ბაღს უვლის. თითოეულს დაგეგმილი აქვს წლეულს 12 ტონა ციტრუსი და 2 ტონა ბოსტნეული მოიწიოს. ლიმონარიუმიდან გამოვედით და რკინის კარიც მიიხურა.

— რაკი მოსავალი განსაზღვრავს მათი შრომის ანაზღაურებას, ბაღს ისე გულდაგულ იცავენ, ერთ ცალ ნაყოფს „ღმერთსაც“ არ გაატანენ, — მითხრა დირექტორმა... ასეც უნდა იყოს, წყალში რად უნდა ჩაყარონ ნაჯაფ-ნაამაგარი?

ციხის გალავანს გვერდი ავუქციეთ და ფერდობს ავუყევით. ბაღებს ოქროსფერი ღიმილი დამჩნეოდა. სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მიმოზა ჩხენკელის ბრიგადის პლანტაციაში შევედით. შერჩევით კრეფდნენ, დილა იყო. ფარდულთან ორმოცდაათამდე ყუთის ავსება უკვე მოესწროთ. კაფანდარა ქალს სავსე კალათი შვილივით მიეკრა მკერდზე. მოიტანა და ყუთში ჩასცალა. — ჩვენი ბრიგადის ერთერთი მოწინავე მეციტრუსეა, ნარგიზა შავაძე, — გამაცნო მიმოზამ, — შვიდი წელია თავს დასტრიალებს ამ ბაღებს.

— რამდენი წლისა ხართ, — გაკვირვებით შევხედე ახალგაზრდა ქალს.

— მე? დამორცხვებულს სახე აელეწა და თავი დახარა. — სამი შვილის დედა ვარ, ოცდაოთხი შემისრულდა, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა და აჩქარებით პლანტაციას დაუბრუნდა.

— ფატი ფუტკარაძე, თინა ბერიძე და ნარგიზა შავაძე, — თქვა ბრიგადირმა, — ერთმანეთს ეჯიბრებიან. თითოეულს 0,8 ჰექტარი აქვს გაპიროვნებული. ნაზამთრალი იარები, როგორც ხედავთ, ძათს პლანტაციებს თითქმის მოუშუშდა. მზრუნველი „დედები“ სულ ბაღში ტრიალებენ. ამიტომაც ხეები დიდებულად გამოიყურება. ბარაქას, 20 ტონას გვპირდება თითოეული. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

მიმოზას ბრიგადა ყოველწლიურად 500 ტონაზე მეტ ციტრუსს კრეფს. გარდა ამისა, ამზადებენ ბოსტნეულს და მწვანე მასას.

ეს ბრიგადა ერთადერთი როდია, რომლის ქალები პლანტაციებში სასწაულებს ახდენენ. საავტომობილო გზა აღმართს მიუყვება. საითაც გაიხედავთ, ყველგან შრომის ფერხულია გაჩაღებული. ფერდობებიდან ხმაშეწყობილი სიმღერა ისმის. ადამიანები არ ჩანან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბაღები მღერიან.

გონიოელმა ქალებმა თვითმოქმედებითაც ისახელეს თავი. ექვსი წლის წინათ, ლატვიაში საგასტროლოდ ყოფნის დროს კრიმულდის საბჭოთა მეურნეობის ანსამბლის წევრები გაიცნეს და თავისთან მოიპატიჟეს. ორ მეურნეობას შორის გაიცვალა დელეგაციები, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, გონიოელები ლატვიელ მეგობრებს სწორედ ციტრუსის კრეფისას ელოდებოდნენ.

მოწინავე მეციტრუსე ნათელა კოჩალიძე ანსამბლის სოლისტია. ნათელა სიამოვნებით იგონებს ლატვიაში გატარებულ დღეებს. ჩვენი ფერმა მთელს რაიონში გამორჩეული რომ არის, ეს სწორედ კრიმულდელთა წყალობაა. ისეთი ფურები მოგვცეს, ბადალი არ მოიძებნებაო.

ეს მართლაც ასეა. გონიოელთა მეცხოველეობის ფერმა რაიონში ერთადერთია, რომელიც მოგებას იძლევა. საშუალო წველადობა წელიწადში 3000-3500 კილოგრამს აღწევს. ეთერ ბერიძემ, მერი ბრუნჯაძემ, ნაირა მიქელაძემ და სხვებმა წლიური დავალება ცხრა თვეში შეასრულეს.

ფერდობს სულ მაღლა ავყევით. გავეცანით მოწინავე მეციტრუსეებს ზინა მახარაძეს, ზინა ზოიძეს, ვიქტორია ნიჩმიროვას, ელენე კოლესნიჩენკოს, მაყვალა ზოიძეს, სევიე მახარაძეს. დირექტორი მზად არის მეურნეობის ყველა ქალი წარმოგვიდგინოს. მადლიანი ზღვისპირეთი მათ ედემის ბაღად გადაუქცევიათ. ასეთ ადამიანებზე ერთი ნარკვევი კი არა, წიგნი უნდა იწერებოდეს.

მთას რომ ავაღწიეთ და ბარს გადმოვხედეთ, გალაკტიონის სტრიქონები მომაგონდა:

„რა არის ოქრო აჭარის
უსაზღვრო სილურჯეში?
ეგ არის ზეცა, ეგ არის
მნათობი ცისფერ ბადეში“.

გონიოელებმა გეგმით წლეულს 970 ტონა ციტრუსი უნდა მოკრიფონ, დირექტორი დარწმუნებულია, რომ 1200 ტონას გადააჭარბებენ. საერთო ჯამში 750 ტონა ქალების წვლილი იქნება.

**მ. გორგილაძე**

# გული მღერის!



მევენახე ჩემს წარმოდგენაში ყოველთვის კაცს უკავშირდებოდა, უფრო ზუსტად — ნაბდისქუდიან ქართველ გლეხს, პირსახეზე ჭაღარაწვერმოშვებულს, ვისაც არც ყინვა აშინებს და არც თოვლი, არც ქარი და არც სიცხე, ალიონიდან შეღამებამდე ვაზებს დაჰფუსფუსებს სიმღერით. ყოველ შემოდგომას იმედით ელის, მარანს ამზადებს და მერე სტუმარს ქვევრის პირს იწვევს, ფუძე დამილოცეო.

ქალი? ქალი, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის დედაა. ამიტომ ქალი მევენახე, თან ვაზის მოტრფიალე, — ცოტა მაეჭვებდა. „ლექვი ლომისა სწორია“ მეთქი, თავი დავირწმუნე და გადავწყვიტე ჩემი წერილის გმირს შევხვედროდი.

ახალგაზრდა გოგონას არც ემღერებოდა და ერთი გრძელი კვნესა იყო მისი გულის ამოძახილი, მაგრამ მაინც მღეროდა, რადგან შრომის ხალისი ემატებოდა, ადრეული ტკივილი უამდებოდა. ომი იყო და გაჭირვება.

მეცხრეკლასელი ზიზი მშობლებმა სკოლაში აღარ გაუშვეს, საქმე გემარჯვება და კოლმეურნეობაში უნდა იმუშაო, ოჯახს მუშახელი მოემატება, შემოსავალი გაგვეზრდებაო... ოჯახის საქმეც ზიზილოს მხრებს უნდა ეზიდა.

კოლმეურნეობაში ზიზილოს გამომუშავებული შრომადღეც ყოველდღიურად მატულობდა და შემოსავალიც იზრდებოდა. მუყაითი ქალიშვილი ყველაფრის ინტერესს იჩენდა, ჭრა-კერვაც ისწავლა. მთელმა სოფელმა შეიყვარა ზიზი. ეს კარგი გოგო სხვას რად მივცეთო და იქვე, თანასოფლელ კაკო ბეგაშვილზე დააქორწინეს. ახალი ოჯახი სიყვარულით აშენდა. წლებს წლები მისდევდა...

ზიზი შვილებისა და შემდეგ ხუთი შვილიშვილის ბატონ-პატრონი გახდა.

* * *

— ვენახები რომ ისეტყვება ხოლმე? — ვეკითხები მე.

— ვენახები რომ ისეტყვება, ლამის შეჩერდეს გულისცემა. კითხვას მიმიხვდა ზიზი და განაგრძო: — ეგ არის ჩვენი ძირითადი შემოსავლის წყარო და... შარშან ჩინებული მოსავალი გვქონდა. ბრიგადამ 49 ჰექტარზე 360 ტონის ნაცვლად 440 ტონა ყურძენი მოკრიფა. წლეულსაც კარგი მოსავალი მივიღეთ.

— თქვენ საქართველოს კომპარტიის XXVI და XXVII ყრილობების დელეგატი იყავით. რას გაიხსენებთ?

— ოცდამეექვსე ყრილობაზე ტიბაანელმა მევენახემ ლეილა ჯავახიშვილმა სიტყვა წარმოთქვა, ჩვენი სატკივარიც თქვა და ცრემლით ამევსო თვალი. მევენახეობაზე, საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე XXVII ყრილობაზეც იყო ლაპარაკი. მე კი შრომა ყოველთვის მიყვარდა და ახლაც ძველებურად ვუვლი ვაზს. ყრილობაზე რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს შევხვდი, ვისაუბრეთ.

საუბარში რძალი მანანა შემოგვესწრო.

ჩემი დედამთილი კარგ გუნებაზეა, თუ ვაზებთან არის. შინ გული არ უჩერდება, ხშირად წუწუნებს, ვენახში საქმე დამრჩა დაუმთავრებელიო.

გამოვეთხოვე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატს, პარტიის გურჯაანის რაიკომის ბიუროს წევრს, შრომის დიდების ორდენის კავალერს, მიხეილ მეჭვევრიშვილის სახელობის პრიზის მფლობელს, ახაშნის საბჭოთა მეურნეობის მუშას ზიზი ბეგაშვილს და ფიქრი მომეძალა: ვინ იცის, გვიან შეღამებამდე რამდენჯერ უმუშავნია ვენახში და მერე ფეხით ამოსულა სახლამდე! ვინ მოსთვლის, რამდენი უთოხნია, უბარავს, ბალახი უძირკვავს, ვაზი გაუსხლავს, გაუფურჩნია!.. ყოველწლიურად 22-23 ტონა ყურძენს კრეფს, წლის მანძილზე 300-მდე შრომადღე აქვს გამომუშავებული, ამას ხომ ჩვენი თანამედროვის ღვაწლი, ამაგ[illegible]ეა.

**[illegible]ნათინ გოგინაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემია საუკეთესო ნაშრომი-სათვის



ვ. ბენზიურის ფოტო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, ქიმიისა და ფიზიკის დარგში ნაშრომთა ციკლისათვის — „არაორგანული და ორგანული ჯაჭვების შემცველი პოლიმერების სინთეზი მნიშვნელოვანი და კომპლექსური თვისებების მქონე მასალების შესაქმნელად“, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლოტარ ხანანაშვილს, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატებს, დოცენტებს, — ომარ მუკბანიანს, ვაჟა ცხოვრებაშვილსა და ლიანა ნაკაიძეს მიენიჭათ პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია.

ლიანა ნაკაიძე ოჯახში ვინახულე... ვუსმენდი და ვგრძნობდი, რა მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული წინაპრებისადმი. ბაბუამისი, გულო კაიკაციშვილი უაღრესად განათლებული, ერუდირებული პიროვნება ყოფილა, მას ახლო ურთიერთობა ჰქონია გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან, მათ შორის ზაქარია ჭიჭინაძესთან. ხშირად აქვეყნებდა წერილებს, ნარკვევებს, სტატიებს „ივერიაში“. ცნობილია აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე წარმოთქმული მისი სიტყვა.

თავის დროზე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდნენ ლიანას მამა და ბიძა. მამა — ირაკლი ნაკაიძე 1946-49 წლებში აჭარის ასსრ განათლების მინისტრი იყო, შემდეგ კი ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი. ბიძა ხუსეინი — 1930-33 წლებში აჭარის ასსრ განათლების კომისრად მუშაობდა, მომდევნო წლებში პედაგოგიურ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

ასეთ ოჯახში ჩაეყარა საფუძველი ლიანას გატაცებას ქიმიის მეცნიერებით.

ქიმიის მეცნიერების საფუძვლებს რომ დავეუფლე, — იგონებს ლიანა, — ამაში დიდი დამსახურება პედაგოგ სემაეთ ვარშანიძეს მიუძღვის. მან შემაყვარა ეს საგანი. პატივცემული სემაეთი პრინციპულ, მომთხოვნ, სამართლიან და მოსწავლეთათვის საყვარელ პედაგოგად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. მის რჩევა-დარიგებებს მუდამ ვითვალისწინებდი. აქტიურად ვმონაწილეობდი სკოლაში გამართულ კითხვა-პასუხის საღამოებში.

საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, 1958 წელს ლიანა უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. წარჩინებით სწავლობდა, მეორე და მესამე კურსზე პ. მელიქიშვილის სახელობის სტიპენდიანტი იყო, მეოთხესა და მეხუთეზე — ლენინურ სტიპენდიას იღებდა.

სამეცნიერო მუშაობაში ადრიდანვე ჩაება, საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციებში მონაწილეობდა. მისი თემები ყოველთვის მოსწონდათ, დიპლომებითა და სიგელებით აჯილდოებდნენ.

— მეცნიერების სიყვარული უნივერსიტეტში ქიმიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ნოღაიდელმა ჩამინერგა, — ამბობს ლიანა, — პატივცემული ალექსანდრე უაღრესად კეთილი კაცი გახლდათ, თუკი რაიმეს მივაღწიე, უპირველესად მას ვუმადლი.

1964 წელს ლიანამ უნივერსიტეტი დაამთავრა. ასპირანტურაში ჩაირიცხა. სულ მალე საკავშირო სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა მისი ნაშრომი სილიციუმ-ორგანული ნაერთების ქიმიის ერთ-ერთი კატალიზური რეაქციის შესახებ.

ლიანა მუშაობას განაგრძობს სილიციუმ-ორგანული ნაერთების ქიმიაში. დღეს არ არსებობს სახალხო მეურნეობის არცერთი დარგი, მრეწველობისა და ტექნიკის არცერთი სფერო, სადაც ფართოდ არ იყენებდნენ ამ ნაერთებს. ისინი შეუცვლელი თერმომედეგი მასალებია, რომლებსაც აქვს ელექტროსაიზოლაციო და ანტიკოროზიული თვისებები. სილიციუმ-ორგანული ნაერთები გამოიყენება აგრეთვე მედიცინაში, ფარმაკოლოგიასა და კვების მრეწველობაში.

1980 წელს თბილისში გაიმართა სილიციუმ-ორგანულ ნაერთთა ქიმიისა და პრაქტიკული გამოყენების ქიმიის V საკავშირო კონფერენცია, რომლის სწავლული მდივა-

ნიც ლიანა იყო. კონფერენცია მიეძღვნა ბევრი ქართველი ქიმიკოსის, მათ შორის ლიანა ნაკაიძის აღმზრდელის კუზმა ანდრიანოვის დაბადების 75-ე წლისთავს.

1969 წელს ლიანამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იმ წლიდან მოყოლებული ნაყოფიერად მუშაობს კათედრაზე. დღეისათვის მას ორმოცზე მეტი მეცნიერული ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ამჟამად იკვლევს დიციკლო პენტენილის რადიკალის შემცველ სილიციუმ-ორგანულ ნაერთებს და ამონილიზის რეაქციებს. წლეულს აპრილში საკურორტო ქალაქ იურმალაში გაიმართა სილიციუმ-ორგანულ ნაერთთა ქიმიისა და პრაქტიკული გამოყენების VI საკავშირო კონფერენცია, სადაც ლიანა საინტერესო მოხსენებით გამოვიდა.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა ყოველთვის იყო მისი მისწრაფება. სკოლაში სწავლის დროს კომკავშირის კომიტეტის მდივნად მუშაობდა, 1970-74 წლებში ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრი იყო, ათი წლის განმავლობაში გახლდათ ქიმიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ამჟამად ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანია.

1971 წელს ლიანამ მათემატიკოს გურამ ლაითიძესთან ერთად ოჯახი შექმნა. მათი ორი ვაჟიშვილი ირაკლი და ნიკოლოზი მოსწავლეები არიან. მეცნიერთა ოჯახი მომავლის ნათელი მიზნებით ცხოვრობს.

**თ. მორგოშია**

# პროფესორი



მალიკო მრევლიშვილმა, 'რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პროფესორმა მშობლიურ თეატრს შესანიშნავი მსახიობები აღუზარდა. ჩვენ კარგად გვახსოვს ქ-ნ მალიკოსთან მეცადინეობა. ეს იყო შემოქმედებითი ძიების, მიგნების და ტკბობის გაკვეთილები. მალიკო ჩვენთვის მარტო პედაგოგი არ იყო — ჩვენი დედაც გახლდათ და მეგობარიც. მაშინაც კი, როცა უკვე პროფესიონალი მსახიობები გავხდით, ასაკითა და ტიტულებით დავიტვირთეთ, მას ვთხოვდით ხოლმე შველას, საათობით ვისხედით მისი მყუდრო ბინის სავარძლებში და ერთობლივად „ვაშალაშინებდით“ ლიტერატურული მასალის ყოველ სიტყვას, ინტონაციას თუ ქვეტექსტს.

მართლაც და, ფასდაუდებელია მალიკო მრევლიშვილის როლი ქართული თეატრალური ინსტიტუტის ცხოვრებაში: მალიკო იყო მხატვრული კითხვის სწავლების მეკვლე და ჭეშმარიტად პირველი თეორეტიკოსი, რომელმაც სცადა სცენური მეტყველების თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება, მისი განზოგადება. ის ზოგჯერ ზედმეტ მოკრძალებას იჩენდა და აცხადებდა მეცნიერული კვლევის პრეტენზია არა მაქვსო, თუმცა დიდი მეცნიერები — გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია დიდ შეფასებას აძლევდნენ მალიკო მრევლიშვილის მეცნიერულ კვლევას. ამავე დროს მალიკო იყო პირველი პრაქტიკოსი პედაგოგი, მხატვრული კითხვის წარმტაც მშვენიერებას რომ აზიარებდა თავის მოწაფეებს.

როცა ქალბატონ მალიკოს დაბადების 80 წლის იუბილე გადაუხადეს, კოხტად და მხნედ მობრძანდა და აღტაცებით ისმენდა თავისი აღზრდილების გამოსვლებს.

**მიხეილ თუმანიშვილი:** თქვენ პირველმა მაზიარეთ ხელოვნების არაჩვეულებრივ სამყაროს.

**მედეა ჩახავა:** როგორც პედაგოგი, თქვენ ჩემთვის გიორგი ტოვსტონოგოვის სადარი იყავით, როგორც მეგობარი კი, — მასზე მეტი.

**გურამ საღარაძე:** მადლობელი ვარ. მხატვრული სიტყვის სიყვარული რომ ჩამინერგეთ.

**ნათელა ურუშაძე:** ჩვენ მხოლოდ სასცენო მეტყველება არ გვისწავლია თქვენგან, ისიც ვისწავლეთ, თუ რა არის სიდარბაისლე, სულგრძელობა და ინტერესი საშვილიშვილო საქმის გაგრძელებისა.

**თენგიზ არჩვაძე:** მე თუ ვარსებობ ქართულ თეატრში, ეს თქვენი წყალობაა და ამ სიტყვებს თანამედროვე სამსახიობო ელიტის მთელი არმია უერთდება.

მალიკო მრევლიშვილის ღვაწლი ისიც გახლავთ, რომ დღეს თეატრალურ ინსტიტუტში მის დაარსებულ სასცენო მეტყველების კათედრას მრავალი კარგი პედაგოგი ჰყავს. ამჟამად კათედრას ხელმძღვანელობს მისი მოწაფე, პროფესორი ბაბო ნიკოლაიშვილი, რომელიც აგრძელებს და ავითარებს კიდეც თავისი ღირსეული პედაგოგის საქმეს.

ქალბატონი მალიკო, როგორც ნიჭიერი და დაუზარელი შემოქმედი, მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად რუსულ ენაზე თარგმნა ძმის, მიხეილ მრევლიშვილის პიესა „მგზნებარე მეოცნებე“, რომლის რედაქცია პოეტს, დიდი რუსი მხატვრის სურიკოვის შვილიშვილს ნატალია კანჩალოვსკაიას ეკუთვნის. ამჟამად კი ნატალიას შვილი, ცნობილი კინორეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი ფილმს იღებს ა. გრიბოედოვის ცხოვრებაზე და ყურადღებით ჩაჰკირკიტებს თავისი დედისა და მრევლიშვილების „მგზნებარე მეოცნებესაც“.

სიცოცხლის ბოლო წლებში მალიკო მრევლიშვილი მსახიობადაც მოგვევლინა. სიკვდილამდე ორი წლით ადრე რეჟისორმა ნუგზარ ბაგრატიონმა ქ-ნი მალიკო გადაიღო ტელეფილმ „იოჰან სებასტიან ბახში“, განათლებული და არისტოკრატი ქალის ელენეს როლში. ღვაწლმოსილი პროფესორი „ახალბედა“ მსახიობი გახდა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მასზე წერდნენ, კიდევ ერთი მსახიობი აღმოვაჩინეთო.

ამ ამბავმა ჩვენც იმედით აღგვავსო და ვირწმუნეთ, რომ ნამდვილი შემოქმედისათვის არასოდეს არ არის გვიან.

**ელენე საყვარელიძე**

# ოღონდ დამიბრუნდი, დედა!



მხატვარი კარლო ფაჩულია

კარი გაიღო და ოთახში ქალიშვილი შემოვარდა, სულს ძლივს იბრუნებდა, სახე შეშლილი ჰქონდა, თვალები გაფართოებოდა, ტუჩები და ნიკაპი უთრთოდა.

მას ყმაწვილი შემოჰყვა, ისიც აღელვებული ჩანდა.

ოთახში ქალი აუთოებდა.

— მართალია?! მითხარი, მართალია?! — შეჰყვირა ქალიშვილმა ქალს.

— მართალია, — მცირე დაყოვნების შემდეგ უპასუხა იმან თვალდახრით.

ქალიშვილს ცრემლები წასკდა.

— მეჯავრები... მეზიზღები... ვერ გიტან! — მკვეთრად შეტრიალდა, გზად ყმაწვილს გადააწყდა, ხელი ჰკრა. ის სამფეხა მაგიდას დაეჯახა, თეთრიასამნიანი ლარნაკი ძირს გადმოვარდა.

ყმაწვილი უარესად დაიბნა, ჯერ ლარნაკის ნამსხვრევების აკრეფა დააპირა, მერე მიატოვა და სადარბაზოში გავარდა, მცირე ხანში ისევ დაბრუნდა.

— ველარ მოვკარი თვალი, საით გაიქცა... იცით... დედამ რომ თამარი... აყვანილი ყოფილა და...

ქალი უღონოდ დაეშვა სკამზე. ხმა არ ამოუღია.

— უთო! უთო! დაიწვა! — ყმაწვილი უთოს ეცა, იმის ძხრს შავად შესდნობოდა ლაჟვარდისფერ კაბაზე ამოჭმული ქსოვილის ნაჭერი.

* * *

....მალევე მოვბრუნდი, მაგრამ შინ ფეხი არ შემიდგამს, ზღურბლიდანვე ვუთხარი გამომწვევად: — ჩემი... იმ ქალის ასავალ-დასავალი მინდა... მისამართი და...

მიპასუხა.

და ცოტა ხანში მე რკინით აჭედილი, სამზერის დაჭყეტილთვალიანი კარის წინ ვიდექი. ჩემს ზარზე შვიდი თუ ცხრა საკეტი გადატრიალდა და მე ლამაზი ქალის წინ აღმოვჩნდი. სულიც არ მომათქმევინა, შეცბუნებულს გვერდითი ოთახისაკენ მიბიძგა, სამედიცინო სავარძელში ჩამსვა, დამატებითი სინათლე ჩართო, თავი გადამაწევინა, თვალები დამახუჭინა. მე გონზე ვერ მოვსულიყავი, ის კი გულმოდგინედ მითვალიერებდა სახეს.

— არაფერი საჩემო შენს კანს არ სჭირს, არც ფერისმჭამელები გაქვს, და არც რაიმე ლაქები, ერთი კია, რომ გეტყობა, გაზაფხულობით ცხვირზე და ლაწვებზე ჭორფლი გიჩნდება ხოლმე... მაგრამ ეგ არაფერია, ეშველება. რაღა დაგიმალო და მეც ეგრე ვიცი — აპრილში რომ ამიყვავდება, ლამის აგვისტომდე არ მიქრება ხოლმე. მაგრამ აბა, ნახე, მეტყობა რამე? შენც ამ მალამოს მოგცემ და...

გადატკეცილი სახის კანი ჰქონდა, წმინდა, უხინჯო, უნაოჭო. მხოლოდ სახის კანი, — გავიფიქრე ჩემთვის.

ოთახში კაცმა შემოიხედა, იმასაც ისეთივე სუფთა პირისახე ჰქონდა. გუნებაში გამეცინა — ვინ იცის, ესეც კრემებსა და მალამოებს ხმარობს-მეთქი.

— მაპატიე, ძვირფასო, მე მივდივარ, სადილად ნუ დამელოდებით, ლოყაზე აკოცა.

— კარგი, გეთაყვა, — ქალმა კოცნითვე უპასუხა და ისევ მე მომიბრუნდა.

ნეტავ, იცის ამ კაცმა, რომ მისმა „ძვირფასმა“ ცოლმა შვილი გააჩინა და მიატოვა... შვილი? არა, შვილი არა... უბრალოდ ბავშვი, ბავშვი გააჩინა... რა მოხდება, რომ ავდგე და ვუთხრა?.. ან თვითონ რა დღეში ჩავარდება?..

— კარგია, რომ ადრევე მიგიქცევია ყურადღება კანისთვის, ყველამ კი არ იცის სახის მოვლა. ალბათ დედამ გირჩია...

ახლა ბიჭმა შემოიხედა ოთახში, ინგლისურზე მივდივარო და იმანაც ლოყაზე აკოცა. იქიდან არსად გადაუხვიო, პირდაპირ სახლში მოდი, გენაცვალოს დედაო, — კარამდე მიაცილა.

ჰმ, ჩემი ძმა... აი, ახლა დავაბრუნებ და ვეტყვი: იცი, მე შენი და ვარ, ოღონდ მიტოვებული, გადაგდებული...

— დედა არა მყავს!

— ო, რას მეუბნები?! საშინელებაა უდედობა!.. მოდი, იცი რა, ამ მალამოს მე შენ ისე მოგცემ, უფასოდ...

რაღაც ძალამ სავარძლიდან წამომაგდო. კისრისტეხით ჩავირბინე კიბე.

— რა მინდოდა, რამ მომიყვანა აქ?! რას ველოდი, რისი იმედი მქონდა?! ალბათ იმისი, რომ დედური ალღო რაღაცას აგრძნობინებდა ამ ქალს, მიცნობდა, გულში ჩამიკრავდა, მუხლებზე დაეცემოდა, პატიებას მთხოვდა, ამიხსნიდა, დამარწმუნებდა, რომ სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, თავისთან დამიტოვებდა...

ნეტავ ვაპატიებდი? შევძლებდი? დავრჩებოდი?..

არ ვიცოდი, სად მივდიოდი. საოცარ სიცარიელეს ვგრძნობდი.

...— მე ხომ გითხარი, მაგასთან გავლილი არ დაგინახო-მეთქი, შენ კიდევ სახლში მომიყვანე! ვინ ოხრის შვილია, ვინ იცის... ხომ უნდა დამექცეს ოჯახი, ეგ რომ რძლად შემომივიდეს... — რა გაკაპასებული ეცა კახაბერს დედამისი, „სათნო“, „კეთილშობილი“, „ამაღლებული სულის“ ქალბატონი თამთა! იცოდა, არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდა, რომ მეორე ოთახში მე ყველაფერი მესმოდა. იქნებ, განგებაც გამაგონა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამეკარგა კახაბერი. აკი მიაღწია კიდევაც საწადელს... ყველა და ყველაფერი მძაგდა ქვეყანაზე, აღარც კეთილი და გულსუფთა მეგულებოდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმე. თურმე ის ადამიანიც მატყუებდა, დედა რომ მეგონა მთელი სიცოცხლე... ვინ ოხრის შვილიაო... ცხრა თვე მუცლით მატარა, გამაჩინა და დამაგდო. რატომ? რატომ?... ხელს შევუშლიდი ალბათ... ჰო, რა თქმა უნდა, აი, ამ ოჯახის შექმნაში შევუშლიდი ხელს, „ძვირფასო", „გეთაყვა", „გენაცვალოს დედა"... ჩემი წილი სითბოთიც იმ ლამაზ ბიჭს ათბობს, შვილს, რომელიც არ გადააგდო...

ფიქრებიდან რომ გამოვერკვიე, ელისოს სახლის წინ აღმოვჩნდი.

დედა მივლინებაში წავიდა, მე შეუძლოდა ვარ და შინ მარტო ვერ დავრჩი-მეთქი, — მოვატყუე საშურა დეიდა.

— განა არა, ფერი არ გადევს, შემოდი, შვილო, შემოდი, ალბათ შეგცივდა. ახლავე ლოგინს გაგიშლი, ჩაითბუნე, მერე მურაბიან ჩაისაც დაგალევინებ, სანამ დედა არ დაბრუნდება, არსად არ გაგიშვებ. სკოლაში ელისო წაიღებს ამბავს, ბაზარში გამეგზავნა მწვანილზე, სადაც არის მოვა...

რაღაც განსაკუთრებული, დამამშვიდებელი სითბოთი იცის ელისოს დედამ გათბობა, სატკივარის შემსუბუქება.

სამ დღეს არსად გამიშვა.

— აბა, თამარ-ქალო, ქვეყნის თვალო, მომიყევი, რა გჭირს, რატომ იწვალებ თავს, — ჩამომიჯდა ერთ საღამოს ლოგინის კიდეზე საშურა დეიდა.

თავი ველარ შევიკავე, გული ამომიჯდა, გადმოსკდა ჩემი ტკივილი, გადმოხეთქა ჩემმა საწუხარმა.

— იცით, საშურა დეიდა, მე... მე აყვანილი ვარ...

— დიდი ამბავი!

— თქვენ რა, იცოდით, რომ...

— კი, შვილო, დიდი ხანია ვიცი.

— და...

— რა იცვლება მერე მაგით? თუ შენ ის თამარი აღარა ხარ, ჭკვიანი, კეთილი, გულხალასი და სულლამაზი? სულ იმას ვნაღვლობ, ერთი ბიჭი მაინც მყოლოდა-მეთქი, რომ რძლად მომეყვანე... შენ კიდევ... სულ ეგ არის შენი სატკივარი? მე კი ვიფიქრე, მართლა გაციებულია-მეთქი და ჩაით გჭყიპავდი, აფსუს, ჩემი მურაბები! აბა, წამოხტი და შინ მოუსვი, სკოლაშიც ხვალვე წადი.

გულზე მომეშვა. საშურა დეიდა გადავკოცნე.

— კარგი, კარგი, დამშვიდდი, გონება მოიკრიბე და... დედა დაბრუნე. არც შინ არის, არც სამსახურში, დავრეკე და მითხრეს, რამდენიმე დღეა, არ გამოჩენილა, ჩვენ თვითონაც ვეძებთო.

მომეჩვენა, რომ მოვკვდი.

კარი რომ გავაღე, საშინელი სიცივე შემომაფრინდა. დაძახება ვერ გავბედე. ოთახები დავიარე. იატაკზე ისევ ისე ეყარა ლარნაკის ნამსხვრევები და მკვდარი იასამანი. მაგიდაზე საუთოებელ ტილოზე უთოთი ამომწვარი ჩემი ლაჟვარდისფერი კაბა იყო უსასოოდ გაფენილი.

ყველაფერი მორჩა, გათავდა...

ერთბაშად მივხვდი ჩემი საქციელის მთელ სიავეს და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. დავკარგე ადამიანი, ურომლისოდაც ჩემი თავი არ მახსოვდა და ურომლისოდაც ვერც ჩემი შემდგომი არსებობა წარმომედგინა.

უაზროდ დავბორიალობდი ბინაში. დედის სამუშაო მაგიდაზე გადაშლილ რვეულს მოვკარი თვალი.

ვზივარ ახლა, მუხლებზე ის რვეული მიდევს და ცრემლმორეული ვკითხულობ:

„ჩათვალე, რომ ეს ჩემი აღსარებაა. ვფიქრობ, გამიგებ.

მე მიყვარს ადამიანი, რომელსაც არასდროს ვუყვარებივარ, გარკვეული დროიდან კი ვძულვარ კიდევაც. ძნელი ყოფილა ამის მოთმენა. მე, ყოველ შემთხვევაში, ძალიან გამიძნელდა. ჩემს სიყვარულს როგორ დავამალებდი, მაგრამ არც სიძულვილის ღირსი ვიყავი. ვერაფერი გავაწყე, ვერ მოვერიე საკუთარ თავს და როცა ის სიძულვილი აშკარად ვიგრძენი, თვითონაც შემჯავრდა თავი, სულიერი წონასწორობა დავკარგე, ყველაფერი უაზრობად მეჩვენებოდა"...

მაშინ თუ გაჩნდა ეს სიტყვები: „...ციცინათელები გთხოვე და, შენ მკვდარი შავი ჭიები გამომიწოდე მუჭით..."

„დღესაც არ ვიცი, რა დამემართა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სამუდამოდ დამეღლა სულიცა და სხეულიც. ასე მეგონა, სამყარო თავზე დამემხო-მეთქი. აღარაფერი მეხალისებოდა, ვეღარაფერს ვაკეთებდი, ყველას გავურბოდი, შინიდან გამოსვლა მიჭირდა. მინდოდა იმ ადამიანის დავიწყება და ვერ ვივიწყებდი. გაქცევა ვცადე, ვერ გავძელი და დავბრუნდი...

მივხვდი, რომ ვერასდროს გავთავისუფლდებოდი ამ გრძნობისაგან, რომ სამუდამო მარტოობისათვის ვიყავი განწირული, უცნაური გულჩათხრობილობა დამჩემდა, შემეშინდა..."

წამოვვარდი, თაროზე ორი წლის წინათ გამოსული დედის ლექსების კრებული მოვძებნე, გადავშალე:

„...და იმ საღამოს, ჩემი სოფელი ყარყატებმა როცა დასტოვეს, მე დავიჯერე, რომ სამუდამოდ სულ მარტო დავრჩი...

„მაშინ იყო, დედამ რომ მითხრა, ბავშვი მაინც გეშვილებინა, შენი არსებობა აზრს შეიძენდა, თორემ მეც მალე მოვკვდებიო და... დედაც მომიკვდა"...

რვეული გადავდე. წამოვდექი. წიგნების კარადას მივუახლოვდი, მინის უკან გამოდებული ფოტოსურათი გამოვიღე. ძალიან მიყვარს ეს სურათი. დედა თეთრ ცხენთან დგას, სევდიანი, ფიქრგაქცეული. იმ ზაფხულს თუშეთში ვიყავით. გზაში ბაკური გავიცანით, მეჯოგე ბიჭი, ცხენების რემა ჰყავდა მთაში გაშვებული. ჩვენც წაგვიყვანა. აი, ის თეთრი ცხენი კვიცი იყო, როცა მაჩუქეს კარგი მუშაობისთვისო, — დაგვანახა ბაკურმა. ეფერა დედა, ეფერა იმ ცხენს, სულ თვალები დაუკოცნა, ერთ ადამიანს მაგონებსო, ჩურჩულებდა. მაშინ გადავუღე ეს სურათი. ახლა კი დავყურებდი და ვცდილობდი წარმომედგინა ადამიანი, რომელიც ამ ცხენს ჰგავს და რომელსაც დედა სძულს. ვერ შევძელი.

„...მერე შენ გამომიჩნდი... თრთოლვითა და სასოებით შემოგცქეროდი მუდამ, თუმცა შენ შეიძლება, ვერც კი გრძნობდი. მიკვირდა, როცა შენს სულში აღმოცენებულს ვხედავდი იმას, რაც მე დავთესე. თან მეშინოდა, ცუდი რამ თესლიც არ გადმომყოლოდა. ჩემს თავზე აღებული პასუხისმგებლობა მაშინებდა — მე ხომ შენი სულის ჩამოყალიბების მონაწილე უნდა გავმხდარიყავი. თან იმასაც ვგრძნობდი, რომ შენც დიდი პასუხისმგებლობა დაგაკისრე — ჩემი გადარჩენა. გაქცევა როცა მომინდებოდა, შენთან მოვრბოდი. ჩემი თავშესაფარი გახდი..."

გამახსენდა, მაშინ, ხევსურეთში რომ ვიყავით...

— რომ იცოდე, რა სიამოვნებით გადავფრინდებოდი ახლა! — ხელებგაშლილი იდგა მაჩიტებით გამოხალისებული კლდის თავზე და ნისლებჩაწოლილ ხეობას ჩაჰყურებდა. მე შემეშინდა.

— შენ მაკავებ... — უცნაური ღიმილით მომიბრუნდა, ფრთები დაკეცა და თვალებჩამქრალი მოცილდა იმ ადგილს.

დედა! დედა!

„მადლობელი ვარ შენი. არაფერი მაქვს შენთან სასაყვედურო, ისეთი ადამიანი დადექი, მე რომ მინდოდა. მჯერა, ვეღარაფერი შეგცვლის... არ ვიცი, იქნებ მე თვითონვე უნდა მეთქვა შენთვის ყველაფერი. ბევრჯერ დავაპირე, მაგრამ ვერ გავბედე. ვხვდები, რომ ახლა შენ ჩემზე უფრო გიჭირს, ოღონდ თვითონ უნდა გაართვა თავი, გადაწყვიტო. გიმეორებ — არაფრისათვის არა გძრახავ და არც დაგძრახავ, მინდა მხოლოდ იცოდე: მთელი ჩემი სიცოცხლე ძალიან მჭირდებოდი...

...და კიდევ ერთი რამ — რაც არ უნდა მოხდეს, საკუთარი კეთილი და სხვისი უკეთური საქმეები არასდროს დაითვალო, პირიქით აკეთე და ყოველთვის იქონიე პატიების უნარი"...

რვეული დავხურე და ზედ დავემხე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე გაოგნებული. მერე წამოვდექი და ნათესავებთან დავიწყე ტელეფონით რეკვა, დედას მეგობარ-ამხანაგებსაც დავურეკე.

არსად არ იყო დედაჩემი, არსად.

უაზრო ბორიალი დავიწყე. ყველაფერს გამოსცლოდა სითბო და ფერი, ყველაფერი უსახური და უცხო მეჩვენებოდა.

გატეხილ ლარნაკსა და იასამანს წავადექი თავზე. ეს იასამანი რომ მოიტანა, ორივემ ხუთფურცლიანი ყვავილების ძებნა დავიწყეთ, რომ ვიპოვიდით, ნატვრას ჩავიფიქრებდით და სიცილით ვყლაპავდით. თან ერთმანეთის ჩანაფიქრის გამოცნობას ვლამობდით. ახლა ვხვდები, რას ჩაიფიქრებდა დედა...

მუხლებზე დავეშვი. დამჭკნარ იასამანზე ხუთფოთოლა ყვავილი მოვძებნე. ერთადერთი სურვილი ჩა[illegible] და გადავყლაპე...

# მედეა ბიბილეიშვილი





შილერი. „დონ კარლოსი“. ელისაბედი.

ჩვენი საუბარი წარსულით დაიწყო...

დაამთავრა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა. ადრიდანვე ოცნებობდა მსახიობობაზე. არც არის გასაკვირი, რადგან მამის — ექიმ დავით ბიბილეიშვილის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენი სცენის ვარსკვლავები: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, მარინე თბილელი, ელენე ყიფშიძე... ამ თეატრალურმა გარემომ დიდი გავლენა მოახდინა და მედეა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში შევიდა.

დაიწყო სტუდენტური ცხოვრების, მსახიობად და პიროვნებად ჩამოყალიბების რთული და საინტერესო გზა.

ინსტიტუტში მედეამ ახალი მეგობრები შეიძინა. ინსტიტუტშივე შეასრულა პირველი როლი — ლარისა ა. ოსტროვსკის „უმზითვოში“, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა დამწყებ მსახიობს...

გასრულდა სტუდენტობის წლები. რუსთაველის სახელობის თეატრში გაამწესეს, მან კი მეგობრებთან არჩია ყოფნა და მათთან ერთად გაემგზავრა სოხუმის თეატრში სამუშაოდ. იქ შექმნა ირინეს მეტად დასახსომებელი სახე რეჟისორ მ. კუჭუხიძის მიერ დადგმულ კოროსტილიოვის პიესაში („მე მჯერა შენი“). ერთი წლის შემდეგ კი მსახიობი თბილისს დაუბრუნდა და დღემდე მოღვაწეობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

„ბედნიერი ქალი ვარ, — ამბობს სიამაყით, — მითამაშია ვერიკოსთან, სესილიასთან, ვასოსთან... ო, რა პარტნიორები იყვნენ! ვერიკო მაინც ისე დაგიმორჩილებდა, ისე დაგმუხტავდა. შეუძლებელი იყო რაიმე სიყალბე შეგპაროდა როლში. ანდა ელენე ყიფშიძე! დიდ სიამოვნებას მგვრის მათთან სცენაზე ყოფნა.

ახლა რეჟისორებს არ იკითხავთ! — არჩილ ჩხარტიშვილი, დიმიტრი ალექსიძე, გიგა ლორთქიფანიძე, თემურ ჩხეიძე, ანზორ ქუთათელაძე, მედეა კუჭუხიძე, რევაზ მირცხულავა, გოგი თოდაძე... გოგისთან არის დაკავშირებული ჩემი შემოქმედების ბოლო წლები და უნდა გითხრათ, რომ მის მიმართ მადლიერების გრძნობით ვარ ავსილი. რომ მას, ნიჭიერების გარდა, ბევრი კეთილი, ადამიანური თვისება გააჩნია.

კვლავ თეატრზე ვსაუბრობთ, თეატრზე, რომელიც უსაზღვროდ უყვარს, ვიხსენებთ სპექტაკლებს, რომლებშიც განუსახიერებია სახეები. ეს სპექტაკლებია: „ნოველების საღამო“, „წმინდანები ჯოჯოხეთში“, „ხეები ზეზეურად კვდებიან“, „ანტიგონე“, „დონ სეზარ დე ბაზანი“, „ბუდე მეცხრე სართულზე“... ველოდები, როდის ახსენებს ელისაბედ დედოფალს („დონ კარლოსიდან“), მაგრამ ამაოდ. ბოლოს ისევ მე ჩამოვაგდე სიტყვა ამაზე.

„იცით, ბედნიერება იყო ვასო გოძიაშვილის გვერდით თამაში, მაგრამ იმ პერიოდში მე უფრო დიდ, ალბათ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზ სიხარულს ველოდი, იღიმება მედეა — მალე დედა უნდა გავმხდარიყავი და იმდენად განვიცდიდი ამ მომავალ ბედნიერებას, იმდენად შეპყრობილი ვიყავი ამით, რომ ვფიქრობ რაღაც „დავაკელი“ ელისაბედს. პიესის მიხედვით, ის მებრძოლი ქალია. მე კი ჩემს გარშემო ისეთი ლამაზი და კეთილი მეჩვენებოდა მაშინ ყველა და ყველაფერი, რომ ამ როლსაც ძირითადად ეს თვისებები შევძინე. დღეს უფრო სხვაგვარად შევასრულებდი მას“.

დიახ, მედეა ბიბილეიშვილი ქალიშვილის დედაა... ჩემი შვილი მსახიობობაზე ოცნებობს. არ ვიცი, რამდენად სწორია მისი არჩევანი, მაგრამ ასეთ დროს მშობლების ჩარევა სწორად არ მიმაჩნია.

მედეა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მაყურებელს, ანგარიშს უწევს მის აზრს, უყვარს მეგობრები, სწამს, სჯერა მათი. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა მათს სოციალურ მდგომარეობას. მთავარია იყვნენ გულწრფელნი, უშუალონი, კეთილნი, და შეეძლოთ ჭეშმარიტი სიყვარული. მისი სითბო და ყურადღება არც ახლობლებსა და მეგობრებს აკლიათ. ეთაყვანება ხელოვნებას. დაე, ეს სიყვარული მთელი ცხოვრება ათბობდეს!

ზ. გოშაძე



ო. აბესაძე — „ანარეკლი“. ზანდა — მ. ბიბილეიშვილი. დედა — მ. თბილელი.



გ. ფანჯიკიძე — „თვალი პატიოსანი“. მედეა — მ. ბიბილეიშვილი. თამაზი — ჯ. მონიავა



სპექტაკლ „მთვარის მოტაცების“ შემდეგ. თამარი — მ. ბიბილეიშვილი (შუაში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოცონი „კაკლიან გორაზე“



თეატრონის ერთი კუთხე. ვ. გენგიურის ფოტო

ბავშვს რომ თავისი დედა ეჩვენება ყველაზე ლამაზი მთელ ქვეყანაზე, მეც რაღაც ამის მსგავსი მჭირს. საქართველოში მრავალი ხეობაა ლამაზი, მომხიბვლელი, მომაჯადოებელი, მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად პანკისის ხეობა მელამაზება. სწორედ ამის გამო არაერთხელ დამიწერია პანკისსა და პანკისელებზე. და მაინც, ახლაც წერად დავჯექი.

მაპატიეთ მკითხველო, თუ რამეს გავიმეორებ ადრე დაწერილიდან და გამოქვეყნებულიდან. ნუ იტყვით, ეს ხომ ვიცითო. თქვენ კი იცით, მაგრამ აი იმ ახალგაზრდებმა არ იციან, ვინც ახლახან მოვიდნენ. ზოგმა შეიძლება ისიც არ იცის, რომ პანკისის ხეობა პირაქეთ ალაზნის ხეობას ჰქვია და იგი ახმეტის რაიონშია, რომ ამ ხეობაში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ ფშავლები, ქისტები და ოსები.

დიახ, დიახ, საქართველოში ცხოვრობენ ქისტები, ისინი პანკისში ჩამოსახლდნენ მაშინ, როცა მუცალი და ალუდა ქეთელაური სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ.

„არა გვჭირსააა, რჯულძაღლო —
შამაუჭყივლა ქისტასა.
— გულში მჭირს, გულში რჯულძაღლო,
ვაჰ, ცდასა მუცალისასა,
ძმაც ხომ მამიკალ, მეც მამკალ, მადლსა
რა ვუთხრა ღვთისასა“.

...და ამ დროს პანკისელი ფშაველები ნებას რთავენ ქისტებს ამ ხეობაში მათ მეზობლად გადმოსახლდნენ.

ახლა წარმოვიდგინოთ, ქისტებს რამხელა გაჭირვება უნდა მისდგომოდათ კარს, რომ იძულებული გამხდარიყვნენ აყრილიყვნენ, დაეტოვებინათ სამშობლო და ფშაველებისათვის ეთხოვათ თავშესაფარი.

იმ გაჭირვების ჟამს ქართველები ტყვიითა და მახვილით კი არ შეხვედრიან კარს მომდგარ გადამთიელ მოსისხლე მეზობლებს, სახლის კარი გაუღეს: „მობრძანდით როგორც ძმა-ძმასთან, ნათლიმამასთან — ნათლიაო“.

ასე დასახლდნენ ქისტები პანკისის ხეობაში მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. კი დამეზობლდნენ, მაგრამ ერთმანეთის დიდი სიყვარული მაინც არ ჰქონიათ თურმე აქაურ ფშავლებს და ქისტებს, ქისტებს და ოსებს. ისინი თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და სულით ხორცამდე იცავდნენ ცხოვრების მამა-პაპურ ადათ-წესებს. სარწმუნოებით გამიჯნულთ (ქისტები მაჰმადიანები არიან) დიდი მისვლა-მოსვლა არ ჰქონიათ ერთმანეთში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პანკისელთა ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, რამაც მეზობლები თანდათან დააახლოვა და დაამეგობრა. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა დუისის ქართულმა საშუალო სკოლამ, სადაც ერთმანეთის გვერდით ისხდნენ ფშაველი, ქისტი, ოსი ახალგაზრდები და მოწყურებულნი ეწაფებოდნენ ცოდნას. ის თაობები რომ მოვიდა ცხოვრებაში, რა თქმა უნდა ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

დღეს პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაშია გაერთიანებული ექვსი ფშავლების, ექვსი ქისტების და ხუთი ოსების სოფელი. მათ საერთო საქმე და საზრუნავი აქვთ. ჭირიცა და ლხინიც თითქოს საზიარო აქვთ. გახშირდა ოჯახების დამეგობრება და დანათესავება; ერთმანეთში ქალების თხოვა-გათხოვება, რაც წინათ სასტიკად იყო აკრძალული. მაგრამ... თითქოს კიდევ რაღაც იყო საჭირო ამ ხალხის უფრო მეტად დასაახლოებლად და დასამეგობრებლად, რადგან ცალკეული ინციდენტები მაინც იჩენდა ხოლმე თავს, რაც დრომოჭმული და ჟანგმოკიდებული ტრადიციების გახსენებას იწვევდა ხანდახან.

— რა არის ის რაღაცა?

— კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს პანკისელთა მეგობრობის საბოლოო განმტკიცებისათვის? — ბევრს უფიქრია ამაზე, მაგრამ...

1984 წლის 9 მაისს სოფელ ყვარელწყალში „ჯარისკაცის სახლიდან“ გამარჯვების ზეიმმა „კაკლიან გორაზე“ რომ გადაინაცვლა (იქ დოლი იმართებოდა), პარტიის ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ზაურ მანიჟაშვილმა იკითხა:

აი აქ რომ თეატრონი მოვაწყოთ, არ ივარგებს? შრომით დაღლილი ფშავლები, ქისტები, ოსები მოვლენ, ერთმანეთის გვერდით დასხდებიან, დაილაპარაკებენ, მხატვრული კოლექტივების გამოსვლებს დაესწრებიან და დაისვენებენო; მე უმალვე წარმოვიდგინე თეატრონზე საინტერესო სანახაობის საყურებლად თავშეყრილი ფშავლები, ქისტები, ოსები... ხანშიშესულნიც და ახალგაზრდებიც, წარმოვიდგინე, რომ თეატრონი გახდებოდა კულტურის საერთო კერა, რომელიც ამ ხალხს ხშირ-ხშირად შეახვედრებდა და კიდევ უფრო დააახლოვებდა და დაამეგობრებდა.

— რა თქმა უნდა, კარგი იქნება! — ვთქვი მაშინვე.

კარგი იქნებაო, — დაუდასტურეს სხვებმაც.

ერთი წლის თავზე, 9 მაისს, „კაკლიან გორაზე“ საზეიმოდ გაიხსნა თეატრონი, რომელსაც ერთიანი ძალებით აშენებდნენ ფშავლები, ქისტები და ოსები.

ამ ბოლო ხანს, ვინ იცის, რამდენ კარგ

საქმეს ჩაეყარა საფუძველი და დაედგა თავი ამ რაიონში, მაგრამ თეატრონზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მას სულ სხვა პოლიტიკური დატვირთვა მიეცა. ეს გახლავთ სწორედ ის დიდი საერთო კერა კულტურისა, სადაც ზაფხულობით თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ხალხთა მეგობრობის კოცონი ინთება.

ნაყოფიერი შრომის შემდეგ კვირის ბოლოს ხალხი თეატრონზე იკრიბება და ინყება პანკისელთა ნიჭისა და უნარის გამომზეურება — ხალხური სანახაობები. საკუთარი ძალებით გამართულ კონცერტებზე ფშავლები ხალხური ლექსებითა და კაფიაობით გამოირჩევიან, ქისტები ცეკვებით, ოსები ცეკვავენ და მღერიან კიდევაც. ღონისძიების დაწყებამდე იმართება ხოლმე სპორტული ასპარეზობები, სადაც კუნთმაგარი ვაჟკაცები ქართულ ჭიდაობაში ცდიან ძალას.

თავდაპირველად ასეთი ღონისძიებები პანკისელთა ძალებით იმართებოდა, შემდეგ რაიონის სხვა სოფლებიდანაც მოიწვიეს თვითმოქმედი კოლექტივები. მერე თანდათან გაფართოვდა მონაწილეთა წრე და პანკისელებმა აქ ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებსაც მოუსმინეს, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებიც ნახეს და ფილარმონიის მსახიობთა კონცერტებიც.

თეატრონის მაყურებელთა შორის პირველ რიგში ჟიურის წევრებივით ჩამოსხდებიან ხოლმე ქისტი ბერიკაცები და... ზოგი რამ მოსწონთ, ზოგი რამ — არა. მაგრამ რაც არ მოსწონთ, იმაზე ხმას ვერ იღებენ, რადგან სწორედ ის მოსწონთ ახალგაზრდებს.

მაინც სხედან ხანდაზმულები, მაინც უყურებენ და აგონდებათ მამა-პაპათა მკაცრი ადათ-წესებით რა სასტიკად იყო აკრძალული ქისტი ქალის სკოლაში სიარული და სწავლა. საზოგადოების წინაშე მათი უმანდილოდ გამოსვლა, ახლა კი...

ახლა სხვაა... ახლა ქისტი ქალიშვილები სცენაზე თამამად, ოსტატურად, ხატოვნად კითხულობენ ვაჟას, გალაკტიონის, გოგლას ლექსებს.

ძალზე პოპულარული გახდა პანკისის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული ხალხური ცეკვებისა და სიმღერის ანსამბლი, რომელიც მარტო სცენაზე კი არა, ტელევიზიითაც ხშირად გამოდის.

როცა თეატრონზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ქისტი პედაგოგი ქალები, ძარღი, მაყვალა და ოლია მარგოშვილები, ეთერ ქავთარაშვილი (და არა მარტო ისინი), ყოველთვის აღნიშნავენ, რომ პანკისელთა მეგობრობის გასამტკიცებლად თეატრონი გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე სხვა ნებისმიერი ღონისძიება წლების მანძილზე, „კაკლიან გორაზე" ხალხთა მეგობრობის კოცონი ანთიაო.

ფშაველი ქალები კი უბრალოდ ამბობენ: — ღმერთმა უშველოს ჩვენი რაიკომის მდივანსა, ეს რა კარგი რამ აგვიშენაო.

ოსები: — შაბათის მოახლოვება გვიხარია, საღამოს გაგვილამაზებენ და კარგად დავისვენებთო.

ვ. ჩეკურიშვილი

# აი, ასეთი მწამს კომუნისტი!



ნინო ჯაფარიძე დაიბადა სოფელ აბრში (ამბროლაურის რაიონი).

1922 წელს, ჯერ კიდევ მეექვსე კლასის მოწაფემ, გადაწყვიტა ზაფხულის პერიოდში მუშათა და გლეხთა კლუბ-სამკითხველოს გამგედ ემუშავა, 1923 წლის დასაწყისში კომკავშირის რიგებში მიიღეს. ამ დროს რაჭის სამაზრო პარტიულ კომიტეტში ჩამოყალიბდა ქალთა განყოფილება და ნინო, როგორც აქტიური კომკავშირელი, ონის რაიონის ქალთა განყოფილების ორგანიზატორად დანიშნეს.

1924 წელს ქალბატონმა ნინომ დაამთავრა ტექნიკუმი და რაჭის მთიან სოფელ უწერაში, რომელიც იმ დროს ძალზე ჩამორჩენილი იყო, მშრომელ მოსახლეობას წერა-კითხვას ასწავლიდა, შემდეგ ჯერ სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორად, ხოლო ცოტა ხანში — ქალთა განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებლად გადაიყვანეს.

1924 წელს ჯერ კიდევ 21 წლის ნინო ჯაფარიძე სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთან ერთად მაზრაში გლეხთა კომიტეტებს აყალიბებდა, რომელთა საქმიანობაში გლეხ ქალებსაც აბამდა.

1924 წლის აგვისტოში, მენშევიკური ავანტიურის დღეებში ნინომ იარაღი აისხა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

1925 წლის სექტემბერში რაჭის ერთ-ერთ ოთხწლიან სკოლაში ნინო გამგე-მასწავლებლად მივიდა.

აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი ნინო ჯაფარიძე 1928 წელს კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი ხდება, შემდეგ — წევრი, 1928 წლიდან სოფელ თლუღის კომუჯრედის წევრია და სოფლად კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისათვის იბრძვის. მან პირადი მაგალითი უჩვენა ხალხს, პირველმა შეიყვანა თავისი ოჯახი კოლმეურნეობაში. მალე მას ღარიბ და საშუალო გლეხობაში ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. ძნელი იყო მაშინ ნინოს, როგორც პარტიული მუშაკის ხვედრი: წინააღმდეგობები, ლანძღვა, მუქარაც კი ხშირად დაბრკოლებად ეღობებოდა, მაგრამ მაინც უშიშარ კომუნისტად რჩებოდა.

ნინომ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქალთა შორის მუშაობით რაჭის მაზრის სხვადასხვა სოფელში: ხელმძღვანელობდა ქალთა სადელეგატო კრებებს, ავრცელებდა მათ შორის წერა-კითხვას, კითხულობდა ლექციებს, იზიდავდა მათ საერთო საქვეყნო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად.

1930 წლის 1 მარტს ნინო ერევანში გადავიდა საცხოვრებლად მეუღლის გადაყვანის გამო.

ერევანში ნინო უქმად არ კარგავს დროს და შედის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ვეტინსტიტუტში, თან მუშაობს პროტოზოოლოგიურ განყოფილებაში ლაბორანტად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი გადმოდის თბილისში და მუშაობას იწყებს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახდაზღვევის სამმართველოს აგრონომრევიზორად. შემდეგ კი ამიერკავკასიის 26 კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის ზოოკაბინეტის გამგედ. სად არ უმუშავია ქალბატონ ნინოს: პარტიის კიროვის რაიკომის სააღრიცხვო განყოფილებაში, საქართველოს წიგნის პალატაში ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგედ, სამედიცინო გამომცემლობის საწარმოო განყოფილების გამგედ, გამომცემლობის დირექტორად. მას პარტია გზავნის „ზაგოტზერნოს" პურის ბაზის ნორმადარად, შემდეგ ნიშნავენ საქწიგნის მაღაზიის გამგედ.

უმწიკვლო კომუნისტი მუდამ იქ იყო, სადაც პარტიას სჭირდებოდა.

ამჟამად ნინო ჯაფარიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დისპეტჩერია, აქტიურად მონაწილეობს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ამ ცოდნის ტაძარში თეთრთმიანი, წელში გამართული მანდილოსნის გამოჩენა ყველას პატივისცემას აღუძრავს.

**ჟუჟუნა ნიკოლაიშვილი,**
**შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის გზაჯვარედინებზე

„საბჭოთა არმიამ პირნათლად შეასრულა დიადი განმათავისუფლებელი მისია. იგი დამონებულ ევროპაში მივიდა, როგორც განმათავისუფლებელი, იბრძოდა, რათა ბოლო მოეღო ომისა და ფაშიზმისათვის".

მ. ს. გორბაჩოვი

მე და ექიმმა ტრიფონ გვენცაძემ, როგორც უნგრეთის განმათავისუფლებელი ბრძოლების ვეტერანებმა, საბჭოთა დელეგაციასთან ერთად ძმურ სოციალისტურ ქვეყანაში ბრძოლისა და დიდების გზებზე ვიმოგზაურეთ. ბუდაპეშტში თუ კეჩკემეტში, პეჩსა თუ სეკეშფეხერვარში, ყველგან, დუნაისა და ბალატონის მიდამოებში ახალი უნგრეთის მშრომელები მადლიერების გრძნობით გვხვდებოდნენ.

ჩვენც, ამ ბრძოლების უშუალო მონაწილეებს, უდიდეს სიხარულს გვანიჭებდა მოძმე ხალხის სოლიდური მიღწევები სოციალისტურ აღმშენებლობაში.

აქ ყველგან, გმირთა პანთეონებში თუ მემორიალებთან, მუდამ ცოცხალი ყვავილებია, და რაც მთავარია, იმ დღეთა მოსაგონრად უნგრეთის სახელოვანი მუშათა კლასი და ყველა მშრომელი მოწინავე ვახტზე დგანან.

საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრი და უნგრელი მეგობრები განსაკუთრებით აღელდით, როცა ქ. ბუდაპეშტის სკოლის მასწავლებელს მარგიტ დუბეც შანდორნეს შევხვდით.



შეხვედრა მარგარიტა დუბეცთან და მის ქალიშვილთან ბუდაპეშტში

...1944 წლის 25 დეკემბერს უკრაინის მესამე და მეორე ფრონტებმა ფაშისტთა ჯარების უდიდესი ჯგუფი ბუდაპეშტში ცეცხლის რკალში მოაქციეს და კიდევ ერთი „სტალინგრადი" განახორციელეს. ჩემი „კატიუშების" 267-ე რეაქტიული გვარდიული დივიზიონი ფრონტის რეზერვში გადაიყვანეს. ხანგრძლივ, მძიმე ბრძოლებში მონაწილეობის შემდეგ დივიზიონი სოფელ ალაპში შეჩერდა, რომელიც ბუდაპეშტისა და ბალატონის მახლობლად ცეცე-შარბორგარდის რაიონში მდებარეობს. გვარდიელები სოფლის მცხოვრებთა ოჯახებში განლაგდნენ და შეუდგნენ საბრძოლო იარაღისა და მანქანების მოწესრიგებას. ზოგიერთი გვარდიელი კი ჭრილობას იშუშებდა. მეც, როგორც დივიზიონის კომისარი და შეთაურის მოადგილე ოფიცერ ივანე ისაევთან ერთად სოფლის მასწავლებელ ლაიოშ მოლნარის ოჯახში დავბინავდი. ჩემს გარდა საქართველოდან „კატიუშების" რეაქტიულ დივიზიონში იბრძოდნენ გვარდიელები: დავით დოლიძე და დათიკო გალუსტოვი — თბილისიდან, შალვა გუდაძე — ქვიშხეთიდან. ალაპში უნგრეთის მშრომელებმა თვალნათლივ დაინახეს საბჭოთა მეომრების ზნეობრივი სიმაღლე და კეთილშობილება. ჩვენი გვარდიელები, როგორც სამშობლო მოგვიწოდებდა, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ განთავისუფლებული სოფლის მშრომელებს.

სოფელ ალაპის ირგვლივ მოულოდნელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გაჩაღდა. მტერმა თავი მოუყარა უდიდეს სატანკო დამრტყმელ ძალებს, მან განიზრახა გარშემორტყმული ჯარების დებლოკირება და ვერაგულად მისი დუნაიში გადაყრა.

ჩვენი დივიზიონის განლაგებაზე საბრძოლო გავლით ფაშისტთა დიდი ლაშქარი ბუდაპეშტისაკენ მიისწრაფოდა. ლაიოშ მოლნარმა და მისმა პატარა ქალიშვილმა მარგიტმა უდიდესი რისკი გასწიეს და ეს ამბავი შეგვატყობინეს. ჩვენ ამით მოულოდნელობის ფრიად საშიში საფრთხე მოგვეხსნა. დივიზიონის რეაქტიული დანადგარები მოსამზადებელი მდგომარეობიდან საბრძოლო ვითარებაში გადავიდნენ, რამაც განსაზღვრა ჩვენი გადარჩენა და საბრძოლო ამოცანის ღირსეულად შესრულება. როდესაც მოლნარებმა უკვე მტრის ტანკების მოახლოება გვამცნეს, ჩვენმა კატიუშებმა საკადრისი პასუხი გასცეს მათ. ამრიგად, მცირე დანაკარგებით ქ. დუნაფელდვარდის მისადგომებთან საცეცხლე პოზიცია დავიკავეთ.

ასე გვიხსნეს პატარა მარგიტ მოლნარმა და მისმა აღმზრდელმა ოჯახმა უდიდესი მსხვერპლისაგან და ხელი შეუწყვეს რეაქტიულ დივიზიონს საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტაში ალაპ-ცეც-დუნაფელდვარდის მიდამოებში.

მაკედონელისა და ცეზარის ამ ძველდროინდელი სახლობის ადგილზე უნგრული სოფლის მკვიდრმა მოლნარის ოჯახმა გამოგვიყვანა მოსალოდნელი სისხლისმღვრელი სამკვდრო-სასიცოცხლო მდგომარეობიდან. ეს უკვდავი მაგალითია ინტერნაციონალური ძმობის დაუძლეველობისა.

...ჩვენი დელეგაციის უნგრეთში მოგზაურობის დროს დუნაივაროშის უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საქალაქო კომიტეტმა ქალაქის ერთ-ერთ პროფესიონალურ სასწავლებელში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყო. ეს თანამედროვე დიდი ინდუსტრიული ქალაქი (წინათ სოფელი დუნაპენტელე, სადაც იმ დროს ჰიტლერელებმა შესძლეს დროებით გაჭრილიყვნენ დუნაის ნაპირზე) სოფელ ალაპთან და ქალაქ დუნაფელდვარდთან ძალზე ახლოსაა.

უდიდესი მადლიერების გრძნობით მოვიგონეთ ჩვენი უნგრელი ძმების — მოლნარების ოჯახი და იმ განმათავისუფლებელი მძიმე ბრძოლების დროს მათი თავგანწირული დახმარება ჩვენი გადარჩენისათვის. აქ იყო დუნაივაროშის უსმპ ქალაქკომის მდივანი ილონა მარი. მისი და გენერალ-ლეიტენანტ ვიტალი რიბალკას ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კვალისმაძიებელი ჯგუფი ლაიოშ მოლნარის ოჯახის საპოვნელად. ქ. დუნაიფელდვარდის გავლით ალაპში გავემგზავრეთ. ნაომარი ადგილები გავიარეთ და სოფელ ალაპში სკოლის გვერდით მოლნარების სახლს მივადექით. უმალ ცა მოიქუფრა, ჭექაქუხილი ატყდა. თითქოს ომისდროინდელი ექო მოგვესმა. ჩვენთან იყვნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები ევგენი ტერეხოვი, დიმიტრი ნეფედოვი, უნგრელი მთარგმნელი იუდიტ ვამოში.

მოლნარების ოჯახიდან იქ არავინ დაგვიხვდა. ჩვენ რომ მივედით, თანასოფლელებმა თავი მოიყარეს და შემდეგი გვიამბეს; ლაიოშ მოლნარი და მისი მეუღლე ელიზავეტა, უკვე ხანშიშესულნი, გარდაიცვალნენ. მათი ქალიშვილები ბუდაპეშტში ცხოვრობენ. „პატარა" გიტამ უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო და ბუდაპეშტში სკოლის მასწავლებელია, მამის კვალს გაჰყვა. მისი ქმარი დუბეც შანდორნე რესპუბლიკის წამყვანი ქირურგია. მათ სამი შვილი ჰყავთ.

მეზობლებმა ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი მოგვცეს და მაშინვე უკან დავბრუნდით. დუნაივაროშის სასტუმრო „ოქროს ვარსკვლავში" უკვე დიდი ინტერესით გველოდნენ ილონა მარი, ჩვენი დელეგაციის წევრები, უნგრელი მეგობრები. იუდიტ ვამოშმა ტელეფონის ნომრები აკრიფა და გიტას ხმა გაისმა. მან ყველაფერი მოისმინა და დაუყოვნებლივ ჩემთან ლაპარაკი ისურვა. ხმითაც ვიცანით ერთმანეთი, მაგრამ სამწუხაროდ, ენის ბარიერმა მწვავედ იჩინა თავი. ის კი გამაგებინა მთარგმნელის დახმარებით, რომ მისი მშობლები ლაიოში და ელიზავეტა, სანამ ცოცხლები იყვნენ, როგორც თავიანთ შვილს, ისე მელოდნენ, როგორღაც გრძნობდნენ, რომ ცოცხალი ვიყავი.

და აი, მეორე დღეს ბუდაპეშტში ვართ. უნგრეთისა და საბჭოთა მეგობრობის კულტურისა და მეცნიერების სახლში საზეიმო ვითარებაში მოეწყო ამაღელვებელი შეხვედრა. მარგიტ დუბეც შანდორნე მოვიდა თავის ქალიშვილთან გრეტიკესთან ერთად. ერთმანეთს გადავეხვიეთ. ყველა დამსწრე, რაღაც ღრმეს ადამიანურ აღტაცებას განიცდიდა. ჩვენმა ვეტერანებმა, ვინც უნგრეთის განმათავისუფლებელ ბრძოლებში მონაწილეობდა, მარგიტსა და მის ქალიშვილს მკერდზე სამახსოვრო ნიშნები დააბნიეს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მესაზღვრეთა ჯარების მთავარმა პოლიტსამმართველოს უფროსმა, გენერალმა აბელ ლასლომ შეხვედრაზე გულწრფელი სიტყვა წარმოთქვა.

ეს იყო ინტერნაციონალური ძმობისა და ხალხთა მარადიული სიყვარულის გულთბილი გამოხატულება.

ბუდაპეშტის, დუნაივაროშის, შარბარგარდისა და სხვა ქალაქების გაზეთებმა თბილად აღნიშნეს მარგიტისა და ჩემი ოჯახის უდიდესი მეგობრობა, რომელსაც 40 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. ეს განუყრელი, მარად ცოცხალი მტკიცე კავშირი თავისუფლებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, იმ დაუვიწყარ დროს იშვა.

ახლა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის შარბოგარდის საქალაქო კომიტეტი და ალაპის ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენ ისევ გვიწვევს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ბრძოლისა და შრომის ჰეროიკის ზეიმზე. ჩვენც უდიდესი მადლობის გრძნობით მოვიწვიეთ მამაცი პატრიოტი ინტერნაციონალისტი მარგიტ დუბეცი და მისი ოჯახი თბილისში.

**გალაქტიონ პაიჭაძე,**
**უნგრეთის განმათავისუფლებელი ბრძოლების მონაწილე.**

# წაიკითხეთ პატარებს

## ცხოველებისა და ფრინველების სკოლაში

### ბეჰემოთი

რა დინჯია! დილის წყენა
საღამოსღა აწუხებს,
დღეს თუ ჰკითხეს მას რაიმე,
მხოლოდ ხვალ უპასუხებს.

დაფასთან თუ გაიძახეს, —
მერხს დატოვებს ტაატით,
სანამ მივა ის დაფასთან, —
გადის მთელი საათი!

### შველი

მერხზე რომ ზის,
თქვენ გგონიათ,
ის გაკვეთილს ისმენს?
მწვანე ბუჩქი ახსენდება, —
იყურება ტყისკენ...

### ქათამი

ეძახიან მეტიჩარას,
რადგან ჩვეულ სისხარტით
სხვის ნაწერში
წარამარა
უნდა ჩაყოს ნისკარტი!

### ფარშავანგი

ფარშავანგისთვის სკოლაში
ჯდომაა როგორ ძნელი,
ერთზე თვითონ ზის,
სამ მერხზე
მას უდევს კუდი გრძელი.
ოთხ მერხს იკავებს, ამაყად
მოუღერია ყელი!

**გიორგი შეთეკაური**

### სოფელში

ბებოს ეხმარებიან
ნანა, ნონა, ლალი,
ეზოს ასუფთავებენ,
კასრით მოაქვთ წყალი,
ხოლო კახა, კოტე,
ფიჩხს ზიდავენ ტყიდან,
მათ მხიარულ სახეს
მზე უცინის ციდან.

**თემური შიმშილაშვილი**

# გაუმარჯოთ მამებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

ადამიანის ფორმირებაზე უამრავი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას — სკოლა, ამხანაგები, მეზობლები, ეზო, ქუჩა და მრავალი სხვა, მაგრამ განუზომელია ოჯახის როლი ადამიანის ჩამოყალიბებაში; ერთმა დამსახურებულმა მასწავლებელმა ბრძანა: ბევრი ადამიანის ბედს გაუვლია ჩემს თვალწინ და იცი, ხანდახან რა მიფიქრია? ადამიანები ხშირად იცვლიან სახლებს, მაგრამ თავდაპირველი ოჯახური ატმოსფერო ყოველთვის თან დაჰყვება მათ. და თუკი ადამიანი ახალ ადგილზეც აგრძელებს კარგ ოჯახურ ტრადიციებს, მაშინ, სახლის გრძნობა მასში მყარად არის გამჯდარიო. ალბათ ჩემს მასწავლებელს, სწორედ სახლის ის გრძნობა ჰქონდა მხედველობაში, რომელიც ყოველთვის თან გვდევს და დიდი სიძნელეების გადალახვის დროსაც მხარში ამოგვიდგება ხოლმე, სახლის ის გრძნობა, რომელიც დედ-მამის კეთილი მოგონებებით განათებულ ბავშვობაში იღებს საწყისს. სახლის სითბოს ხომ მასში მცხოვრები ადამიანები ქმნიან; დამეთანხმებით, ბევრი მორთულ-მოკაზმული სახლი გვინახავს, ეკონომიკურადაც, საჭიროზე მეტად წელში გამართული ადამიანიც, მაგრამ მიგვიხედ-მოგვიხედავს და ოჯახი ვერსად დაგვინახავს.

ოჯახი ადამიანებია მათი მიზნებით, სურვილებით, სიხარულით, წუხილითა, და, რაც მთავარია, ოჯახი იმ ადამიანთა ურთიერთობაა, რომელთაც ეს მიზნები თუ ცხოვრების სიძნელეები აერთიანებს. ამბობენ, ოჯახური სითბოს წყარო დედააო. უდავო ჭეშმარიტებაა, რადგან სიმყუდროვეს, სინაზესა და სილამაზეს ქალური საწყისი უფრო უნდა ჰქონდეს, ხოლო ოჯახის ზნეობრივი სახე, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია და ფსიქოლოგიური კლიმატი ოჯახის მამიდან უნდა იღებდეს სათავეს. დიახ! ოჯახის მამა უნდა იყოს განსახიერება სამართლიანობის, გამბედაობის, ერისკაცობისა და სიბრძნისა, რომლის მკრთალ სხივებს ასე გაფაციცებითა და რუდუნებით ვეძებთ ხოლმე ჩვენს შვილებში და რომლის პოვნის იმედითაც ვცხოვრობთ. დედაზე ბევრი დაწერილა, ქალთა ემანსიპაციის პრობლემაზეც უამრავი დისერტაციაა დაცული. მამაზე კი რატომღაც უფრო მცირეა ნაფიქრალი, ეტყობა ესეც ქალისადმი მამაკაცური მოკრძალების ნიშანი უნდა იყოს. შეიძლება ეს იმის შედეგიც არის, რომ ახალმა ცხოვრებამ ქალთა ბედ-იღბალში უდიდესი გარდატეხა მოახდინა და საზოგადოების მთელი ყურადღებაც იქით იყო მიპყრობილი. ასეა თუ ისე, ოჯახში მამის ფენომენმა მკვლევართა შორის შედარებით მოკრძალებული ადგილი დაიკავა.

ერთმა მეცხრეკლასელმა გოგონამ ასეთი აზრი გამოთქვა: „არ შეიძლება მარტო შენი შვილის მამა იყო, მამა უნდა იყო მთელი ოჯახისა. ცოტა მეგულება კაცი, ვინც შესძლებს თავი გაართვას მამობას სრულყოფილად“. რა მოკრძალებული შეფასებაა!

„მამა, უპირველესად, ნამდვილი ადამიანი უნდა იყოს, მაღალმოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებების მქონე. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ქვეყანას აღუზარდოს ისეთი თაობა, რომელიც გამოადგება სამშობლოს. კარგი ადამიანი, კარგი მამა, კარგ შვილებს გაზრდის, ხოლო ცუდი — ცუდებს, ბავშვები ხომ მშობლების მაგალითზე იზრდებიან“ (IX კლ.).

„მე მგონი, მამაზე მთელი ოჯახი უნდა იყოს დაყრდნობილი არა მარტო ეკონომიკურად, არამედ ზნეობრივად, მორალურად და სულიერად“. — ესეც მეცხრე კლასელის მოსაზრებაა.

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ, ცნობილი საბჭოთა მკვლევარი, პროფესორი ი. კონი წერდა: „აღარასოდეს აღარაფერს ვკითხავ ბავშვებს მამებზე, სჯობს ჰკითხოთ მათ რაც გნებავთ, ოღონდ მამაზე კი — არაფერი. რა საშინელებაა, როდესაც აღმოჩნდება, რომ ის სახლიდან წასულია, დღედაღამ მეგობრებში ატარებს დროს, ან მთლად უარესი, — შინ არის და ოჯახისათვის კი არაფერს ნიშნავს“. ი. კონი დიდად გამოცდილი და განსწავლული მეცნიერია, იგი თავის კვლევისას მოზარდთა სულის ყველაზე მტკივნეულ ადგილებს შეეხო და ეტყობა, უეცრად დანახულმა ბავშვთა სულის დიდმა ტკივილმა შეაშფოთა, მაგრამ ალბათ ღირს ხანდახან, შორიდან, ფრთხილად მაინც შევხედოთ მას, რაც შეიძლება ყოველდღიური ფაციფუცის გამო უყურადღებოდ დაგვრჩეს.

უკვე რამდენიმე წელია, რაც საშუალო სკოლებში შემოღებულია: „საოჯახო ეთიკისა და ფსიქოლოგიის კურსი“. მოზარდებთან მუშაობის სხვადასხვა დროს მათ ვთხოვდით თავი მამებად წარმოედგინათ და აღეწერათ, როგორი მამები იქნებოდნენ, მამა ხომ შვილისთვის მუდამ მიბაძვის ობიექტია.

რარიგ სასიხარულოა, როცა მოზარდებს, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ჯანსაღი შიდასაოჯახო ურთიერთობის გამო, მომავალი მამის როლის სწორი ორიენტაცია აქვთ აღებული: „მე რომ მამა ვიყო, ვიქნებოდი საამაყო მამულიშვილი, ვიყოლიებდი სამ შვილს და შევეცდებოდი ისინი აღმეზარდა სახელოვანი ადამიანები, შვილები საზოგადოებისათვის უნდა იყვნენ სასარგებლონი“. (ზ. ს. X კლასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე რომ მამა ვიყო, ვიქნებოდი ჩემი მეუღლის ერთგული, ოჯახის ბურჯი, შევქმნიდი სიკეთისა და სიწმინდის კერას“ (ი. ზ. IX კლასი).

„მე რომ მამა ვიყო, ვიქნებოდი ისეთი, როგორიც მამაჩემია, ვიქნებოდი ერთგული და შვილების მეგობარი“ (ი. მ. IX კლასი).

„მე რომ მამა ვიყო, ვივლიდი შვილთან ერთად ფეხბურთზე, თეატრში, კინოში, გავარჩევდი მასთან ერთად წაკითხულ წიგნს, ვეცდებოდი ჩემი შვილი ნამდვილ მოქალაქედ აღმეზარდა“ (ო. ნ. X კლასი).

ცხოვრების დღევანდელმა ტემპებმა, სამწუხაროდ, მნიშვნელოვნად შეამცირა შვილისა და მამის ურთიერთობის დრო. შეიცვალა მათი ურთიერთობის ფორმებიც. ზოგიერთი მამის საქმიანობა და, მით უმეტეს, მისი ოსტატობა თუ პროფესიონალიზმი, მოზარდისათვის რაღაც ბუნდოვანი სამყარო უფროა, ვიდრე ხელშესახები რეალობა. მოზარდისათვის, დღეს მამის მოღვაწეობის შედეგი უფრო თვალშისაწვდომი. ზოგიერთისათვის ოჯახი ძვირფასი ნივთებით მოჭედილი სახლია და ზოგისათვის კი პატიოსანი, მშრომელი, მევობრებისა და ხალხის სიყვარულით დაჯილდოებული მამა. რომელს მიანიჭებს ბავშვი უპირატესობას, სწორედ აქ არის ბეწვის ხიდი, რომელზეც ჩვენმა შვილმა უნდა გაიაროს. როგორ კაცებად იქცევიან ჩვენი ცხოვრების შემყურე შვილები? ალბათ, ეს არის მამა-შვილური ურთიერთობის გამოცდა. „მე მგონი მომავალი მამების „ხარისხზე“ ძალიან დიდ გავლენას ახდენს საკუთარი მამის მოქმედება. ამიტომ, პირველ რიგში, ყველა მამა უნდა ეცადოს, რათა თავის მომავალს გაუხსნას გზა კარგი ოჯახისაკენ“ (ლ. ქ. IX კლასი).

„მე რომ მამა ვიყო, მოვერიდებოდი ჩემი შვილის ფუფუნებაში გაზრდას. რაც არ უნდა დიდი ეკონომიური შესაძლებლობა მქონდეს, მაინც არ შევუქმნიდი ისეთ პირობებს, რომ თავი ამხანაგებზე ოდნავ მაღლა ეგრძნო რითიმე“ (ი. რ. X კლასი).

ყოველ სასიკეთო გარდაქმნას თავისი პრობლემებიც ახლავს ხოლმე თან. ქალთა ემანსიპაციამ ქალისა და კაცის ურთიერთობის ახლებურად შეფასება აუცილებელი გახადა. ფემინიზაციამ და გაცილებათა რიცხვის ზრდამ, უმამობის, ან, თუ შეიძლება ითქვას, „ფორმალური მამის“ ფენომენიც კი წარმოშვა ოჯახში; თუკი მამის იმპერატიული უფლება საუკუნეთა მანძილზე უეჭველი იყო, ახლა თვით უფლებების ცნება გახდა გადასახედი. მეცნიერთა ერთ ნაწილში ამ ფაქტმა დადებითი გამოძახილი ჰპოვა — მამაკაცური საწყისის შერბილება მოზარდთა აგრესიულობას შეასუსტებს, შედარებით ლოიალურებს გახდის ჭაბუკ მოზარდთა ქცევას — ფიქრობენ ერთნი. მეორეთათვის პირიქით, მამობის იმპერატიული უფლების შერყევა შეიძლება სოციალური დეზორგანიზაციისა და მოზარდთა ქცევის ანარქიულობის საფუძველი გახდეს. მესამეთათვის კი არაფერი არ მომხდარა, მათთვის მამობა ყოველთვის სოციალურ შემთხვევითობად იყო მიჩნეული, ლოგიკით: — ხომ არსებობს უმამო ცხოველთა უამრავი სახეობა. არცერთი შეხედულება არ არის მისაღები. თუმცაღა, ყოველ მათგანს შეიძლება მეცნიერული არგუმენტებიც ჰქონდეს. ერთი კი უდავოა; დღევანდელ მამაკაცს ისტორიაში პირველად უწევს საკუთარი თავის დამკვიდრება ოჯახში. მამაკაცების დიდ ნაწილს ოჯახში თვითდამკვიდრების ახალი ფორმების ძიება დასჭირდათ, ჩვენი შვილის მომავალი ბედ-იღბალი და მისი ცხოვრებისეული შეხედულებები, მთლიანად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორ ფორმებს გამოვძებნით ამისათვის.

დაღლილები მავიჩქარით სამსახურიდან შინ, მივიჩქარით, რათა განვთავისუფლდეთ მთელი დღის დაგროვილი სტრესებისაგან. ვინ შხაპს მიიღებს, ვინ ტელევიზორს მიუჯდება, ვინ გაზეთს აიღებს და მიწვება დივანზე, ვინ კი... ოჯახზე, შვილებზე „იყრის ჯავრს“. „ხომ არიან ისეთი მამებიც, რომლის სახელის გაგონებაზეც ბავშვები კრთიან და სადმე იმალებიან. ჩემი აზრით, ასეთმა ადამიანმა არასდროს არ უნდა გაიგონოს ბავშვისაგან სიტყვა „მამა“ (ი. გ. IX კლასი).

ფსიქოლოგების მრავალწლიანი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თურმე უმამო ოჯახში აღზრდილ მოზარდს, განსაკუთრებით კი ვაჟებს, შფოთის მაღალი დონე აქვთ. უმამობა ძალიან ცუდად მოქმედებს მათს აკადემიურ წარმატებებზე. ასეთ ოჯახებში აღზრდილი ჭაბუკები თავის თანატოლებთან შედარებით გულჩათხრობილნი, არაკომუნიკაბელურნი არიან. მარტოხელა დედის გაორკეცებული მეურვეობის შედეგად, მამაკაცის სოციალური როლის ათვისება მათთვის გადაულახავ სირთულედ იქცევა ხოლმე. ასეთი ოჯახების ფინანსური ხელმოკლეობა თუ არასრულყოფილებით შექმნილი ფსიქოლოგიური კლიმატი, ჭაბუკებისათვის სწორი მორალური ორიენტირებისა და „მამაკაცური“ ქცევის სოციალური ნორმების ათვისებისათვის ყოველთვის უარყოფით ფონს ქმნის. „პირადად მე, მამა არ მყავს და არც მახსოვს. ხანდახან მიფიქრია კიდეც: ვინ არის მამაჩემი, იქნებ ქუჩაშიც შემხვედრია, მაგრამ იმ წუთში გამივლის ხოლმე აზრი, რომ ის ვიღაც კაცი, ვინც ჩემი მამა უნდა ყოფილიყო და მე მამა უნდა დამეძახა მისთვის, არ იყო ალბათ ღირსი იმისა, რომ მე ვეხილე. ის არაკაცად მიმაჩნია და რომ მოვიდეს კიდეც და „შვილო“ მითხრას, ყურადღებას არ მივაქცევ“ (ლ. ო. IX კლასი).

ზოგიერთი მკვლევარი, ეტყობა, სწორედ ამის გათვალისწინებით, მამაკაცის თუნდაც ფორმალურ არსებობას ოჯახში გამართლებულად თვლის. ჩვენც ასე ვფიქრობდით, მაგრამ ერთმა მეცხრეკლასელმა ამ პრობლემაზე ცოტა სხვა თვალით შეგვახედა. თავად განსაჯეთ: „გავა წლები... და ჩემი შვილი, ალბათ, ასე დაწერს ამ საკითხზე“: „მამაჩემი დილაობით სამსახურში ადრე მიდის. წასვლის წინ ჩემს ოთახში შემოდის, რომ სარკესთან ჰალსტუხი გაისწოროს. სარკე ხომ სხვა ოთახშიცაა“.

„ფორმალური მამის“ სახე რომ აქ თავდებოდეს, კიდევ რა უჭირდა, მაგრამ ამ ნაწერის დასასრულმა ცნების სიღრმეშიც ჩაგვახედა და მართალი რომ გითხრათ, გასაგები გახადა პროფ. ი. კონის შეშფოთება, დასაწყისში რომ აღვნიშნეთ. ბევრი ვიფიქრეთ, საჭირო იყო თუ არა ამ ვაჟის ჩანაწერის გამოქვეყნება, მაგრამ, ვფიქრობთ, საჭიროა, თუნდაც ვიცოდეთ, რომ იგი ერთეულია. თუმცა მამაშვილობაში ერთეული და ზოგადი არ შეიძლება არსებობდეს. არ შეიძლება კაცი თუნდაც ერთი შვილის მამა იყო და მხოლოდ ერთ საქმეს აფუჭებდე და ამით ყველაფერი მთავრდებოდეს... „მე რომ მამა ვიყო, ვიქნებოდი მამაჩემის საწინააღმდეგო პიროვნება. მაგრამ იცით, ვერც წარმომიდგენია მამა როგორი უნდა იყოს და ალბათ ვერასოდეს ვერც წარმოვიდგენ — მამაჩემიდან გამომდინარე არც გამაჩნია სურვილი ვიყო მამა“. X კლასი.

ფორმალიზმი რომ ჯანსაღი ცხოვრების მტერია, ეს ფაქტია, მაგრამ ოჯახში, შვილთან ურთიერთობაში, იმ ურთიერთობაში, რასაც მამაშვილობა ჰქვია, იგი დიდი ბოროტებაა. სამწუხაროა ასეთ გატკეპნილ საკითხებზე რომ გვიწევს საუბარი, მაგრამ... ოჯახი კაცმა მხოლოდ კი არ უნდა გამოკვებოს, უნდა იცხოვროს კიდეც ამ ოჯახში.

რიგ შემთხვევაში ზოგიერთმა მამამ, ეტყობა პოზიციის განსატკიცებლად არც თუ სახარბიელო როლი აირჩია. ოჯახის ხელმძღვანელობა ზოგიერთისათვის თურმე ოჯახის წევრთა კონტროლს ნიშნავს, იქ მეუღლის დღის განრიგს შეამოწმებს, აქეთ შვილს ჩაუხედავს დღიურში ან, უკეთეს შემთხვევაში „გაკვეთილებს ჩაიბარებს“. და ალბათ, დამეთანხმებით, რომ არც ერთ ადამიანს არ შეიძლება სიამოვნებდეს ყოველ საღამოს „გამომცდელთან“, შეხვედრა და გამოცდაზე გასვლა“. უცნაურია, მაგრამ არის ერთი ცხოვრებისეული პარადოქსი — სწორედ უვიცებს უჩნდებათ ხოლმე მის გარშემო ყველას აღზრდის სურვილი.

კონტროლი, სიმკაცრე და სამართლიანობა ერთმანეთის სინონიმები არ არის და ამიტომ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოზარდები საერთოდ სიმკაცრის წინააღმდეგნი იყვნენ. არა! თქვენ წარმოიდგინეთ, მამის სიმკაცრე მის ერთ-ერთ ღირსეულ თვისებადაც კი მიაჩნიათ. მოზარდებს ვთხოვეთ დედობისა და მამობისათვის აუცილებელი თვისებები დაელაგებინათ მათი მნიშვნელობის მიხედვით და, აი, რა აღმოჩნდა! მამა, მათი შეხედულებით უნდა იყოს ერთგული, მკაცრი და მოსიყვარულე. სამართლიანი სიმკაცრისა მოზარდებს არ ეშინიათ, პირიქით: „მახსოვს, ერთხელ, საბავშვო ბაღში ჩვენი ერთი ჯგუფელი თმაგადახოტრილი მოიყვანეს. სხვებთან ერთად მას მეც დავცინე. მამა ჩემს წასაყვანად რომ მოვიდა, მასწავლებელმა უსაყვედურა ჩემზე. სახლში მისვლისთანავე მამამ დამსაჯა და კუთხეში დამაყენა. მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, წავიყვანდი შვილს საპარიკმახეროში, გადავუღებდი თმას ნოლზე და მეორე დღეს ისე გავუშვებდი ბაღში (ლ. ხ. IX კლასი).

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიე-

რთობა ყოველთვის ერთნაირი არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან მოზარდი დღითიდღე იცვლება; თუ დღეს მისთვის მამის ესა თუ ის საქციელი დესპოტიზმად აღიქმება, ხვალ იგივე საქციელი მან შეიძლება გაამართლოს კიდეც და პირიქით; დღეს დაყაბულდეს და ხვალ კი მამა მართალი არ იყოო — იფიქროს. 10-11 წლის ბავშვთან კონტაქტის დამყარება იოლია, 12-14 წლისას ვერაფრით ვერ მიუდგები, თხუთმეტი წლისას ვერაფერს ვერ გაუგებ, ხოლო თექვსმეტისა ისევ თქვენსკენ შემობრუნდება, თუ კრიტიკული წლები, ისევ ჩვენი დახმარებით ნორმალურად გადაიტანა. მშობლებთან კონტაქტის დამყარების სურვილი გარდამავალ ასაკის დასაწყისში და ბოლო ფაზაში ძალიან დიდია. ბავშვები მალე იზრდებიან. ყოველდღიურობის ორომტრიალში ჩაბმულთ, ხშირად ვერც კი მიგვიდევნებია თვალი ამ პროცესისათვის. და აი, ერთხელ, ამა თუ იმ სიტუაციაში ჩვენდა გასაოცრად სხვა თვალით დაგვინახავს ჩვენი შვილი და გაგვკვირვებია, როდის მოასწრო ასე წამოზრდა. მაგრამ მათ მიმართ დამოკიდებულების ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ ფორმას კი იოლად ვერ ვცვლით; თხუთმეტი წლის მოზარდს ისევე ვეპყრობით, ისევე ვმეურვეობთ და ისევე ვუწყრებით, როგორც 9-10 წლის ბავშვს. არადა, მოზარდები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას მშობლებთან სწორედ მეგობრულ ურთიერთობის აუცილებლობას ანიჭებენ. სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად კარგ და ცუდ შვილებზე უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე შვილებთან ურთიერთობის ფორმებზე ვფიქრობთ. „რა კარგი იქნებოდა მამა და შვილს ყოველთვის ერთ ენაზე ესაუბრათ, ერთმანეთისა გაეგოთ" (ი. თ. IX კლასი).

„ზოგიერთ მშობელს ჰგონია დაბადების დღეზე თუ გაუშვა შვილი, გაირყვნება, დაიწყებს სიგარეტის წევას, ბიჭებთან სიარულს. მე თუ მკითხავ, ბავშვს თუ ცუდისკენ მიდრეკილება აქვს, ყველგან მოახერხებს ამას, ჩვენი მშობლები, მე მგონია, მუდამ პატარებად გვთვლიან". (ი. გ. X კლასი).

დღევანდელი ოჯახისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. — დემოკრატიზმი მოზარდთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბავშვები სრული სერიოზულობით ბჭობენ მეუღლეებს შორის საოჯახო საქმიანობის სამართლიანი განაწილების შესახებ, ისინი მამაში იმ ძალას ხედავენ, რომელმაც უნდა შეკრას და გააერთიანოს ოჯახი: „მამამ არასდროს არ უნდა შეარცხვინოს თავისი გვარი, მეუღლის მიმართ გულწრფელი უნდა იყოს, სიკვდილამდე მისი ერთგული უნდა იყოს. მამა უნდა დაეხმაროს მეუღლეს საოჯახო საქმიანობაში, შეუმსუბუქოს მას შრომა" (ნ. მ. X კლასი).

„მე ვფიქრობ, თანამედროვე ოჯახში არ უნდა იყოს უფროს-უმცროსობა. შეძლებისდაგვარად ყველამ თანაბრად უნდა გაინაწილოს ოჯახის საზრუნავი: მამას, ოჯახის ყველა წევრთან და, განსაკუთრებით შვილებთან, მეგობრული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს". (ო. ი. X კლასი).

ჩვენი მსჯელობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მამის ერთგულებასა და მეგობრობას მხოლოდ ვაჟებისათვის ჰქონდეს მნიშვნელობა. მამის ფენომენი, მამის სახე, არა მარტო ვაჟებისათვის, გოგონებისათვისაც ქცევის საორიენტაციო მოდელია. დიახ! მამაკაცურობის საორიენტაციო მოდელი. სინაზე, კდემამოსილება და ქალურობა, ხომ გოგონების, ვაჟკაცობისა და ერთგულების მფარველობის ქვეშ იღებს სათავეს.

„იმისათვის, რომ ქალი იყო, ალბათ ვიღაც უნდა იყოს შენს გვერდით მამაკაცი" (ი. ზ. IX კლასი).

კითხულობ მოზარდთა ნაწერებს და ზოგიერთი მამის უგვანობით ტრამვირებული ნორჩი ფსიქიკა რომ არა, გიხარია, რომ დიდი უმრავლესობა მოწიწებითა და ოპტიმიზმით მსჯელობს მომავალ ოჯახზე, შვილებთან ურთიერთობაზე, მამობაზე.

რა კარგია, რომ არიან ისეთი მამები, რომელთა არსებობაც შვილებისათვის იმდენად საამაყოა, რომ თავის შეკავებაც კი უჭირთ, რომ ვინმეს არ გაუზიარონ თავიანთი ბედნიერება.

„მასწავლებელო, შეიძლება მე მამაჩემზე დავწერო?" გვეკითხებიან მაშინ, როცა საკითხის ასე დასმას შეგნებულად ავარიდეთ თავი. მაგრამ, შეიძლება! რა თქმა უნდა, შეიძლება!

„ყველას ვუსურვებდი, რომ მამაჩემისნაირი მამა ჰყავდეს. მხიარულება და იუმორი ყველა სიტუაციაში თან სდევს მას. მამა ძალიან მოკრძალებულია თავის მშობლებთან. მეზობლებსა და ნათესავებს ძალიან უყვართ. არა, უნაკლო არ არის, ოღონდ დადებითი უფრო სჭარბობს. ბედნიერად ვთვლი თავს ასეთი მამის ხელში" (მ. ა. IX კლასი).

„მამა, ჩემი სულიერი მეგობარია, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ერთად „ვყალთაბანდობთ" და დედას კინოში და დაბადების დღეზე „ვეპარებით" ხოლმე. მე არ ვაზვიადებ, მაგრამ ჩემი ამხანაგები ჯერ მამაჩემთან მიდიან ხოლმე და მერე ჩემთან. მასთან ყველა თემაზე შეიძლება ლაპარაკი, ნაკლი ვის არ ჰქონია, დედა მაგალითად, ნამცხვრებს აღარ აცხობს სახლში, რომ მამამ არ ჭამოს, ასე უზომოდ უყვარს ტკბილეული. მამა ჩემი მასწავლებელი, ჩემი მეგობარი და ჩემი მშობელიცაა. გაუმარჯოთ მამებს!" (ქ. მ. IX კლასი).

გაუმარჯოთ მამებს!

**ლ. კიკალეიშვილი,**
თსუ სტუდენტი ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის გამგე.

**ავლიპი ზურაბაშვილი,**
საკავშირო სამედიცინო აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვებრძოლოთ ლოთობას და თამბაქოს!

ლოთობაზე ბევრი იწერება, მაგრამ მის აღმოსაფხვრელად უფრო მეტი მოქმედებაა საჭირო, რადგან ვითარება სერიოზულია. ლოთობამ ფეხი მოიკიდა მანდილოსანთა და შელერებულ ყრმათა შორისაც. საკითხის სიმძიმესა და სირთულეს ოდნავადაც ვერ შეარბილებს ის ამბავი, რომ უცხოეთში ლოთობა და ნარკომანია უფრო მოდებულია და გავრცელებული.

უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის სიკეთისათვის, ხოლო სხვისი ჭირის მაგალითი საკუთარ იარას ვერ მოაშუშებს.

საქართველო ვაზის უძველესი ქვეყანაა, ქართველმა კაცმა ოდითვე იცოდა ვაზის ყადრი. ისტორიულად ცნობილია, რომ წინათ, ჩვენში ლოთობას ფეხი არ მოუკიდებია. საქართველოში სტუმარ-მასპინძლობას, ქეიფსა თუ ე. წ. პურმარილს არასდროს ლოთთა ღრეობის სახე არ მიუღია.

ლოთობა იწვევს ოჯახის მორალურ განადგურებას; ზნეობრივად დაქვეითებული და დეგრადირებული ცოლი და ქმარი მუდამ ჩხუბსა და დავიდარაბაში იმყოფებიან, შვილებს აკლიათ დედმამის მზრუნველობა და მუდმივ დაძაბულ მდგომარეობაში იზრდებიან.

ხსენებული ვითარება, როგორც ბრძანებდა დიდი ილია, ოჯახის გარდა საზოგადოებისათვისაც, სერიოზული და მძიმე სატკივარია, რადგანაც უარყოფითი მოვლენები უჩინრად მოქმედებს გარშემო მყოფებზეც.

მეცნიერულად დამტკიცებულია: მთვრალი ადამიანის სასქესო უჯრედები თითქმის 15 დღის მანძილზე განიცდიან მძიმე პათოლოგიურ ცვლილებებს. ქრონიკული ლოთობით გამოწვეული მრავალმხრივი უბედურება გულისხმობს ადამიანის ყოველი ორგანოს დაზიანებას და საბოლოოდ ნაადრევ სიკვდილს, მაგრამ ლოთობით გამოწვეულ კატასტროფას კიდევ უფრო ფართო სოციალურ-ფსიქოლოგიური ზიანი მოაქვს.

საჭიროა ენერგიული, პროფილაქტიკური ზომები, რათა ლოთობა თავისსავე ძირში მოისპოს, დავძლიოთ მისი გამომწვევი მიზეზები. უპირველესად, უნდა უკუვაგდოთ ლოთობის წინარე ვითარება, როდესაც სტუმარ-მასპინძლობის პრინციპი გაუკუღმართებული ხდება, როდესაც დიდებული ტრადიცია მახინჯდება და ლოთობის წყაროდ იქცევა. ხსენებული მოვლენა უეჭველად მოითხოვს ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ღონისძიებებს.

მეცნიერულად შესწავლილია, რომ ნარკომანიისა და ლოთობის შემთხვევების 80-85 პროცენტი ახალგაზრდობაზე მოდის (საშუალო ასაკი 11-დან 18 წლამდეა). უფრო ზუსტი ანალიზით აღნიშნული სენი 30 წლამდე ასაკის ადამიანებსაც მოედო. როგორც ვხედავთ, სკოლის და სტუდენტობის დრო უწყინარ-უვნებელი არ ყოფილა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ახალგაზრდობაში სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს თამბაქო. საჭიროა საკითხის ღრმა ანალიზი.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო აქტიურად იბრძვის პაპიროსის წევის ანუ თამბაქომანიის წინააღმდეგ. ხსენებულ პრობლემას, ცხადია, ჩვენშიაც ჯეროვანი ყურადღება ეთმობა.

უნდა დავსძინო, რომ სკანდინავიის ქვეყნებში (შვეცია, დანია, ნორვეგია) ხელფასი მხოლოდ იმათ ემატებათ, ვინც თამბაქოს არ ეწევა.

ცნობილია, რომ თამბაქოს კვამლი დიდ მავნე გავლენას ახდენს ადამიანთა, — უპირველესად კი ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე. თითქმის 65 წელიწადია ვემსახურები მედიცინას, უკეთ, — ადამიანთა ჯანმრთელობის დიდად საჭირო საქმეს, და მთელი ცოდნით, გამოცდილებით და გულწრფელობით ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ თუთუნის (ნიკოტინის) უარყოფითი როლი საზოგადოებისათვის მარტო ჯანმრთელობის შერყევით არ ამოიწურება. თუთუნით მოხიბლული საზოგადოების სატკივარი უფრო ფართო და მასშტაბურია, ვინაიდან პაპიროსის მოწევის ჩვევა ყალიბდება ბავშვებში, სკოლაში სწავლის პერიოდში. ამ საშიშროების წინააღმდეგ საჭიროა მოქმედება.

ერთობლივად დავირაზმოთ და სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ პაპიროსის მწეველ და ლოთობის გზაზე დამდგარ ახალგაზრდებს!

**იუმორი**

## ძნელი ყოფილა თურმე სიბერე...

დილიდანვე რაღაცნაირად აღერღილი მოვიდა სამსახურში პლატონიჩი. სახე ორპირ ქარში მოციმციმე სანთელივით ხან ექუშებოდა და ხან უნათდებოდა. იჯდა თავისთვის ხმაჩაკმენდილი.

— გამარჯობათ, პლატონიჩ! — მოწიწებით მივესალმე.

— ისე რა! — იყო პასუხი.

გამიკვირდა და შეშფოთებით ვკითხე:

— როგორ ბრძანდებით?

— კოლეგიის სხდომაზე... — კვლავ არეულად მიპასუხა და მზერა ისევ ოლეანდრის ყვავილზე გადაიტანა.

„კარგად არის" — სინანულით გამიელვა და, მეც, მეტი რა დამრჩენოდა, ისევ ჩემს საქმეებს მივუბრუნდი.

პლატონიჩი კი გაუნძრევლად იჯდა შესვენებამდის, შესვენებაზეც. ლომის ფაფარივით გაშლილი თმა მთლად აებურძგნა. სახე თითქმის ჭარხლისფერი გაუხდა, მზერა კი გამჭოლი და მწველი.

— პლატონიჩ, შვილიშვილი გირეკავს. უპასუხებ? — ყასიდად ვუთხარი ტელეფონის წკრიალზე.

ხელი გამიქნია: „არაო".

ვაიმე, რა მოხდა?!

— ეხ, ნეტავ ახლა ორმოცდაათი წლისა ვიყო და მეტისა არა, — მძიმე ოხვრით წამოსცდა პლატონიჩს და ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რა მოხდა.

— ვინ არის, თავზე დავადექი იმ გადაწყვეტილებით, რომ მანამ პასუხს არ მივიღებდი, არ მოვშორდებოდი.

— შენ რა გენაღვლება, ცოლი არ გაწუხებს და შვილი!...

— და არც შვილიშვილი, — დავუმატე მე, — ვინ არის?

პლატონიჩმა საცოდავად შემომხედა და ძლივს ამოღერღა:

— ანგელოზია.

— მერე რამ დაგაღონა, შე კაცო, გითხრა რამეზე უარი თუ?

— ვერ გავუბედე თქმა. ისე მიყურებდა, რომ...

— უთხარი ტელეფონით. ტელეფონშიც ხომ ვერ დაგინახავს.

პლატონიჩმა დიდხანს იყოყმანა. შემდეგ განწირულივით სტაცა ხელი ყურმილს, სწრაფად აკრიფა ნომერი და სულგანაბული დაელოდა პასუხს.

— მთვარისა ბრძანდებით? — სახე გაებადრა, — თუმცა აბა ვინ იქნება ასეთი ანგელოზის ხმის პატრონი. თქვენს ქალობას ვენაცვალე, თქვენისთანა ქალი მხოლოდ ერთი დადის დედამიწაზე და ისიც თქვენა ხართ. საოცრებაა პირდაპირ, სად იყავით აქამდის? ნუთუ ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ შევხვდით ერთმანეთს? — პლატონიჩს თანდათან სახე დაუწყნარდა, თვალები გაუნაზდა, ხმა დაურბილდა. მე გამაოცა მისმა მეტამორფოზამ, პლატონიჩის ასეთი ცვლილება დიდიხანია უკვე აღარ მენახა. გატაცებით ლაპარაკობდა. მჭერმეტყველება ისეც არ აკლდა, მაგრამ ახლა თავის თავს ერთი ათჯერ გადააჭარბა. აფრქვევდა და აფრქვევდა მისი ენა ცის ლაჟვარდს, გაზაფხულის სიოს, მთვარის საიდუმლო ციაგს, მზის სხივთა ციმციმს და...

უცებ ჩაქრა ყველაფერი. ყბა აუკანკალდა, სახე მოეღრიცა, მხრები მოებუზა, მზერა გაუშეშდა.

— რა გითხრა? — გული გადამიქანდა.

პლატონიჩმა ყურმილი ფრთხილად დადო, საცოდავად შემომხედა, გვერდულად გამიღიმა და რატომღაც ნიშნის მოგებით მითხრა:

— ასეა, ბიძია. ახია ჩემზე. კაცი, რომელსაც უკვე მოზრდილი შვილიშვილები ჰყავს, უნდა დაეგდოს თავის სახლში და თავის ბებერ ცოლს ელოლიავოს.

— რა მოხდა, გაგლანძლა?

— უფრო მეტიც. მოხვალ სახლში და ყველა ანგელოზებს ერთად დაგიფრთხობო.

— ვინ, კაცო, მთვარისამ?

— არა, ჩემმა ცოლმა. ჩემდაუნებურად რატომღაც ჩემი სახლის ტელეფონის ნომერი ამიკრეფია...

**თენგიზ ფურცხვანიძე**







# მოდა-86

გასულ წელთან შედარებით მოდაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. კვლავ ეძლევა უპირატესობა თავისუფალი ფორმის ტანსაცმელს გაგანიერებული მხრებითა და სახელოებით. თანამედროვე ჩაცმულობაში სტილსა და მოდურ იერს ქმნის კაბის სიგრძე, ფორმა და სილუეტი, მაგრამ არის კიდევ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი (ნიშანთვისება), რომელიც მოდური კაბებისთვისაა დამახასიათებელი — ეს გახლავთ დიდი ფორმის საყელოები და ზედნადები ჯიბეები, დიდი ზომის ღილები და ფართო ქამრები, ასიმეტრიული შესაკრავი, სრულიად უსაყელო კაბები და სხვა.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ გთავაზობთ თანამედროვე მოდური კაბების რამდენიმე ვარიანტს. ისინი დამზადებულია მაუდის ქსოვილისაგან და შალის ტრიკოტაჟისაგან.

ლელი ხვედელიძე

მხატვარ-მოდელიორები:

მ. დილმელაშვილი, ნ. კობალაძე, ქ. საакაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთიდან სამ წლამდე



ამ ასაკს ბაგის ასაკს ეძახიან, რომელიც კვების მიხედვით ორ პერიოდად იყოფა: ერთიდან — ერთნახევარ წლამდე და ერთნახევარ წლიდან — სამ წლამდე.

ამ ასაკობრივი დაყოფის საფუძველია საკვების თავისებური ტექნოლოგიური დამუშავება, რადგან კერძების მიწოდება დამოკიდებულია ბავშვის კბილების რაოდენობაზე. ერთნახევარ წლამდე ბავშვს ცოტა კბილი აქვს, ამიტომ, ამ პერიოდში ყოველგვარი საკვები უნდა მიეცეს უფრო დაქუცმაცებული, გახეხილი ან გატარებული ხორცის საფქვავ მანქანაში.

20-მდე კბილის ამოსვლის შემდეგ შეიძლება უკვე წვრილად დაჭრილი და მოხარშული საკვების მიცემა.

1-დან — 3 წლამდე ასაკში კვება ოთხჯერადია და უნდა ხდებოდეს 8-12-15-20 ან 9-13-17-21 საათებში. ამ რეჟიმიდან რომელიმე ერთი უნდა შევარჩიოთ.

ბავშვები დიდ ყურადღებას აქცევენ სუფრის გაწყობას, ჭურჭლის სილამაზეს. კერძების შელამაზებას (ფერადი ბოსტნეულით, მწვანილით). ულუფის რაოდენობა ერთ ჯერზე 250-300 მილილიტრია (ხილის ჩათვლით). ყოველი კვება უნდა შედგებოდეს ორი ან სამი სახეობისაგან. თითოეული მათგანი 50-100 ან 150 მილილიტრის რაოდენობით. თუ ბავშვს არ უყვარს წვნიანი, უმჯობესია მიეცეს მეორე (ხორციანი) კერძი, ხოლო წვნიანი კი 50-100 მლ. რაოდენობით დროდადრო როგორმე ვასვათ — მეორე კერძის მიღებისას.

პირველი საუზმე და სადილი, უნდა იყოს უფრო კალორიული. ხორციანი კერძი სადილად ეძლევა. სამხარი ანუ მესამე კვება შედარებით ყველაზე მსუბუქია; (ხაჭო, ხაჭოს ნამცხვარი, მაკარონი გახეხილი ყველით, წიწიბურა, ხაჭოს ხინკალი არაჟანით და სხვ.). ვახშამი ძირითადათ მზადდება მოხარშული ბოსტნეულისგან (კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი ცალცალკე ან შერეული და ზეთმოსხმული), შემდეგ აუცილებელია მაწონი. ვახშამში ხორცი ნაკლებად უნდა იყოს გამოყენებული, ასევე ცხიმიანი და მარილიანი საკვები. რადგან მსუყე და მარილიანი საკვები იწვევს წყურვილს და შფოთიან ძილს.

არ შეიძლება პურ-ფუნთუშეულის, ხილის და ტკბილეულის ხელში მიცემა ჭამათა შუალედებში

ბავშვებს თვითონ უყვართ ხოლმე დამოუკიდებლად ჭამა, ამიტომ შეიძლება მათ მივცეთ კოვზი, ხოლო უფროსმა უნდა აჭამოს სხვა კოვზით, რადგან ამ ხნის ბავშვი დამოუკიდებლად ვერ შეჭამს. ყოველ ახალ საკვებს ბავშვი პირველად უგემურად ჭამს, ასეთ შემთხვევაში კერძი უნდა „შეინიღბოს იმ სახის საკვებით, რომელიც ბავშვს უყვარს. მაგალითად ფაფა და მაწონი ერთმანეთში შეურიეთ, ან ხორცი და ბოსტნეულის პიურე, ოღონდ მეტი რაოდენობით ის საკვები უნდა შეერიოს, რომელიც ბავშვს უყვარს. გარდა ამისა, კერძი მიმზიდველად უნდა გაფორმდეს.

1-3 წლამდე ბავშვებს არ უნდა ვაჭამოთ ცხვრის, ღორის და ბატის ხორცი. ტკბილეულობიდან შეიძლება მხოლოდ მარმელადი ან კარამელის კამფეტები (მცირე რაოდენობით), ვეცადოთ, რომ საკვები არ იყოს ერთფეროვანი და გადატვირთული ფაფეულითა და ნამცხვრით.

წყალი ზაფხულის თვეებში უნდა ვასვათ გადადუღებული, რათა ავიცილოთ კუჭ-ნაწლავის მოშლა. ხშირად გამოვიყენოთ ცოცხალი ხილი, თუმცა კარგია აგრეთვე კომპოტი, კისელი და ასკილის ნაყენი. წყურვილის მოსაკლავად მიუღებელია რძის გამოყენება. შიგადაშიგ კერძებში ვიხმაროთ მცენარეული ზეთი. არ შეიძლება ამ ასაკში ახალი კარტოფილის მიცემა.

გახსოვდეთ: ჭამის დროს ბავშვის ყურადღება მთლიანად საკვებისაკენ უნდა იქნეს მიმართული; სათამაშოებით გართობა და ზღაპრების მოყოლა მიუღებელია; გაფანტული ყურადღება აქვეითებს ფიზიოლოგიურ მონელებას.

მოგვყავს 1-3 წლის ასაკის ბავშვების ყოველდღიური საკვები პროდუქტების რაოდენობა 1985 წლის № 540 საკავშირო ბრძანების მიხედვით: პური — 120 გრამი, ბურღულეული და მაკარონის ნაწარმი, ფქვილი — სულ 50 გრ. შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი 50 გრ. რძე — 700 მილილიტრი, ხაჭო — 50 გრ. ყველი — 10 გრ. არაჟანი — 20 გრ. კვერცხი — 1/2-1 ცალი. კარაქი — 30 გრ. ზეთი — 6 გრ. ძროხის ან ფრინველის ხორცი — 100-120 გრ. თევზი — 25 გრ. ბოსტნეული და მწვანილი — 30 გრ. კარტოფილი — 150 გრ. ხილი ახალი — 250 გრ. ხილი მშრალი — 15 გრ. მარილი — 8 გრ. ჩაი — 0,2 გრ.

**ელენე გერი,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

# რედაქციის ფოსტიდან

## დაგვიბრუნეთ მამა!

ძვირფასო რედაქცია, მე დიდი ყურადღებით ვკითხულობ თქვენს ჟურნალს, სადაც ხშირად აქვეყნებთ მასალებს დანგრეულ ოჯახებზე. რამდენჯერ მიტირია იმ ბავშვების გამო, რომლებიც უმამოდ იზრდებიან. უმამობა ზოგჯერ შვილთა გზისაცდენის მთავარი მიზეზია.

მე დედაც მყავს და მამაც. მაგრამ მამა სულაც აღარ ფიქრობს ოჯახზე, თავის ქალიშვილებზე, მან შუა გზაზე დაგვტოვა. მე ახლა საშუალო სკოლა დავამთავრე, მაგრამ რა ქნას ჩემმა დამ, რომელიც ჯერ პატარაა. ჩვენ ხშირად ვტირით, როცა მამა მოგვენატრება.

დედაჩემი ძალიან გვეცოდება. იგი წელებზე ფეხს იდგამს, რომ ჩვენ გვარჩინოს.

მამა სხვა ქალთან წავიდა. ჩვენ არ გვაინტერესებს იმ ქალის ვინაობა. მთავარი ისაა, რომ დაგვშორდა და ოჯახი უმამოდ გაცივდა.

ზოგჯერ მამა გამოჩნდება ხოლმე ჩვენთან, თითქოს ვუყვარვართ. თუკი შვილები მის გულს ესალბუნება, მაშინ რაღად დაგვტოვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალო დედა, — ვინ იცის, იქნებ რაიმე უსიამოვნება იყო ამ ორ ადამიანს შორის, რაც მე არ მახსოვს, მაგრამ რა დავაშავეთ ჩვენ, უმწეო ადამიანებმა.

ვაჭრობაში მუშაობენ მამაც და მისი მეორე ცოლიც. მე უფროსი შვილი ვარ მამისა და არ მემეტება ამ დარგში სამუშაოდ. არ მინდა მამა იქ დარჩეს, რაიმე ხიფათს არ გადაეკიდოს. მაშინ ვინ არის მისი მფარველი?

რედაქციას ვთხოვთ შვილები — მამა დაგვიბრუნეთ ოჯახში.

თ. გ.

## უგულო მძღოლი

11 მაისს, დილის 11 საათზე ბინიდან გამოვედი შვილებით — ორი ტყუპისცალით ხელში, ბავშვები საავადმყოფოში მიმყავდა. მანქანას დაველოდე. ლოდინის შემდეგ გამოჩნდა თავისუფალი ტაქსი (31-94), რომელსაც ქალი მართავდა. გავაჩერე. სანამ მანქანაში ჩავჯდებოდი, უხეშად მომმართა — მე თქვენ გაგიჩერეთ და რას უყურებთო; თურმე ბავშვები მანქანაში უნდა მესროლა... როცა ჩავჯექით და ვუთხარი, რკინიგზის საავადმყოფოში უნდა წამიყვანოთ მეთქი, უსიამოვნოდ გადმომხედა და მითხრა: — აგერ ხიდზე ვერ გადახვალ? მე კი გადასასვლელზე უნდა გავჩერდე, მეგონა იქეთ მიდიოდითო, ე. ი. საითაც მას ეხერხებოდა... მან ორი ჩვილი ბავშვით ქუჩაში გადმომსვა. მე მას „უსინდისო" ვუწოდე, რაც ძალიან იწყინა: — რა დაინახე ჩემში უსინდისობისაო.

ასეთ მძღოლს, მითუმეტეს ქალს, რა უნდა უწოდო, თუ არა უგულო. ნუთუ თვითონ დედა არ არის, ან დედა არ ჰყავს ან ჩვილბავშვიანი ვინმე?

ასეთი მძღოლი საჭესთან ჯდომის ღირსი არ არის. ვინ ანდო მას საჭე. განა მისი მოვალეობა მხოლოდ ფულის დათვლაა?

მძღოლი რომ მამაკაცი ყოფილიყო, ამ წერილს არ მოგწერდით, მაგრამ ის ხომ ქალია, ნუთუ დედობრივი, ქალური გრძნობისა არაფერი გააჩნია.

ოთხი შვილის დედა მ. ცინცაძე
ქ. ბათუმი

# კულინარია

## ხორცის ფარშით შემზადებული შემწვარი ბადრიჯანი

1 კგ ბადრიჯანი დაჭერით გრძელ, თხელ ნაჭრებად, დააყარეთ მარილი, გააჩერეთ 15-20 წუთი, შემდეგ გადაავლეთ ცივი წყალი, გაწურეთ, ამოავლეთ სამ კვერცხში შეთქვეფილ სამი სუფრის კოვზი ფქვილისაგან მიღებულ მასაში და შეწვით ორივე მხრიდან ზეთში. ამის შემდეგ ცალკე ჭურჭელში მოშუშეთ 4-5 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი (4 სუფრის კოვზ ზეთში და 4 სუფრის კოვზ წყალში), მოშუშვის შემდეგ დაუმატეთ 500 გრ. ხორცის ფარში და განაგრძეთ მოშუშვა 15-20 წუთის განმავლობაში. შეაზავეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუშით, კამით, მარილით და თქვენი სურვილის მიხედვით რომელიმე პილპილით. ცალკე სქელძირიან ქვაბში ან ღრმა ტაფაზე ფენებად დაალაგეთ შემწვარი ბადრიჯანი და ფარში, (ქვედა და ზედა ფენა უნდა იყოს ბადრიჯნისა), დაასხით ზემოდან ორ ჭიქა რძეში ათქვეფილი 3 კვერცხი და შედგით გაზქურაში 15 წუთის განმავლობაში. შეამოწმეთ, როცა კარგად დაიბრაწება, გამოიღეთ, ლამაზად გადმოიტანეთ ლანგარზე და ზემოდან წაუსვით 200 გრ. არაჟანი, რომელიც შეკმაზული იქნება ცოტა ქინძით, ნივრითა და უცხო სუნელით.

## თევზი პამიდვრით

1 კგ. გასუფთავებული, გარეცხილი და პატარა ნაჭრებად დაჭრილი თევზი (რომელი სახეობაც გექნებათ) და 4-5 თავი ნახევარრგოლებად და თხლად დაჭრილი ხახვი ფენა-ფენად მოათავსეთ ქვაბში, დაუმატეთ 8-10 მარცვალი სურნელოვანი პილპილი, დაფნის 2-3 ფოთოლი, დაასხით 2 ჭიქა წყალში გახსნილი 2-3 სუფრის კოვზი ტომატის პასტა ან 500 გრ. ახალი პამიდორი (კანგაცლილი და გახეხილი). თევზი თუ არ დაიფარება პამიდვრის წვენით, დაუმატეთ ცოტა წყალი (და მარილი ვარაუდით). შედგით საშუალო ცეცხლზე და ადუღეთ 15-20 წუთის განმავლობაში, შეამოწმეთ, თუ თევზი მზადაა (არ ჩაგეშალოთ, ზოგი თევზი ადრე მზადდება, ზოგი გვიან) გადმოდგით, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, დაახურეთ თავსახური, გააჩერეთ 10 წუთი და შემდეგ მიიტანეთ სუფრაზე.

*

## მხალი ბოლოკის ფოთლებისგან

ბოლოკის ფოთლები გარეცხეთ, გადაავლეთ მდუღარე წყალი, დაწრიტეთ, დაჭერით ძალიან წვრილად. შეურიეთ წვრილადვე დაჭრილი 150-200 გრ. კამა, დანაყილი ქინძი, ნიორი, ნიგოზი (ნიგვზის რაოდენობა იმის მიხედვით განსაზღვრეთ, რამდენიც ეყოფა მხალს — 1 კგ. ფოთოლზე 1 ჭიქა ნიგოზი) და დაუმატეთ ცოტა ძმარი, ლიმონის ან ბროწეულის წვენი.

ქ. თავართქილაძე

---

გარეკანის პირველ გვერდზე — ჩორდის ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშა ლია გაგნიძე. დ. იაკობაშვილის სლაიდი; მეოთხეზე — ხილის კრეფა. ვ. ბენზიურის სლაიდი.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 4.10.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 11. 86 წ. ქაღალდის ზომა 60×90[1]/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.



Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 145.000 შეკვ. 2281 უე 14702



„თბილისური შემოდგომა. ვ. ბენბიურის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა
620/208



ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178